ალია

## „ალიას“ და „კვირის ქრონიკას“ სოლიდარობას უცხადებენ




N83(3013) 3 ივნისი 2014 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

# რა საკითხებს განიხილავს დღეს წმინდა სინოდი?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## სკოლებში სასწავლო კალენდარი 36-კვირიანი იქნება



სკოლებში ახალი სასწავლო სწავლის დაწყების ზუსტ თარიღთან დაკავშირებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ოფიციალურ განცხადებას 13 ივნისის შემდეგ გააკეთებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის, ნინო კვიტაიშვილის განცხადებით, მომავალი სასწავლო წლიდან სამინისტრო 36-კვირიან სასწავლო კალენდარზე გადასვლას გეგმავს.

„სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს ახალი სასწავლო წლის დაწყებისა და დასრულების ზუსტ თარიღთან დაკავშირებით. ჩვენ, ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტმა შევიმუშავეთ რეკომენდაციები, როგორ წარმოგვიდგენია 36 სასწავლო კვირა. ბუნებრივია, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტიც პარალელურ რეჟიმში მუშაობს, როგორ უნდა აისახოს 36 სასწავლო კვირით, როგორ უნდა დაიგეგმოს ეროვნული სასწავლო გეგმა“, – განაცხადა ნინო კვიტაიშვილმა.

სასწავლო პროცესი შესაძლოა 1-ელ სექტემბერს დაიწყოს. (რეპორტიორი)

## წვიმიანი ამინდი 4 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება



გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის განცხადებით, 4 მაისამდე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იწვიმებს, აღმოსავლეთ საქართველოში კი სეტყვაა მოსალოდნელი.

რაც შეეხება ჰაერის ტემპერატურას, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში 20-25 გრადუსი სითბო იქნება.

„ნალექის ინტენსივობა 4 ივნისს, დღის მეორე ნახევრიდან იკლებს, 6 ივნისიდან კი ამინდის გაუარესება კვლავ მოსალოდნელია“, – აცხადებენ გარემოს ეროვნულ სააგენტოში. (ფრონტნიუსი)

# რატომ იმყოფებოდა ლალი მოროშკინა 3-საათიან დაკითხვაზე პოლიციაში?



# თენგიზ კიტოვანი აფხაზეთში შეჭრას გეგმავსო?

## რას პასუხობს კიტოვანი „ალიას“?



„წავალ, აბა, არ წავალ? გვერდში დავუდგები და დავიცავ, რითიც შემეძლება, მაგრამ გალელებს კი არა, ყველა ქართველს დავუდგები გვერდით, ვინც დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას შეეცდება“

# „ნაციონალების“ ფონზე „ქართული ოცნების“ ტყუილიც კი დაიჯერება“



# სად არის სატანისტური სიმბოლოები თბილისში?



# ალეკო შალამბერიძე: „ბევრ ადამიანს ჯერ კიდევ აქვს ერთგვარი შიში „ნაციონალური მოძრაობისა“, რომელსაც „ქართული ოცნება“ ძირითად ოპონენტად თვლის“



# ყველას! ყველას! ყველას!

წლებია, „ალია“-„ქრონიკას“ უამრავი ფსიქოლოგიური, მორალური, ფიზიკური ზეწოლისა თუ ფინანსური მარწუხებისა და წნეხის ქვეშაც კი არ გადაუხვევია მთავარი პრინციპისთვის – არასდროს უთქვამს თეთრზე, შავიაო! ამიტომაც დაგვსაჯეს და ჩვენი პრინციპულობა, სიმართლე 53500 ლარი დაგვისვეს („ფრესკოს“ „აყროლებული ქათმის“ სტატია კი 6500 ლარად შეგვიფასეს)! გაზეთისთვისაა ეს დიდძალი თანხა, თორემ ზოგიერთისთვის ერთი თვის პრემიაა. სამართლებრივად, პროტესტის სხვა ყველანაირი ფორმის გამოხატვითაც კი, აყროლებული ქათმებითაც რომ გავავსოთ დაბრმავებული ქართული სამართალი, ან კუბლაშვილი თავის მოსამართლეებიანად (თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი, მაია ბაქრაძე, ვანო წიკლაური, თამაზ ურთმელიძე) – განაჩენი არ შეიცვლება, საბოლოოა და თანაც უტიფრად თავხედური – გასაჩივრებას აღარ ექვემდებარებაო. რადგან სიმართლის თქმისთვის ფულს გვთხოვენ, იძულებული ვხდებით, ქართულ ისტორიაში გაზეთისთვის უპრეცედენტო ჯარიმის გადასახდელად „თიბისი ბანკში“ სპეციალური ანგარიში გავხსნათ:

**GE30TB7568636020100001**

ყველას, ყველას, ყველას, ვისაც გწამთ ჩვენი და გჯერათ, რომ ორ ათწლეულზე მეტია, „ალია“-„ქრონიკას“ სიმართლე ტყუილად არ უწერია, დაჩაგრულის დასაცავად ტყუილად არ უბრძოლია! ახლა გვჭირდებით, რომ თუნდაც სიმბოლური ერთი ლარით გამოხატოთ თქვენი პოზიცია, ერთად შემოვულაწუნოთ ქართულ, გამომძალველ, დაბრმავებულ სასამართლოს, ვინძლო გამოფხიზლდეს.

რა მნიშვნელობა აქვს, ვის მხარესაა სიმართლე, უკვე მთავარია, ვის უჭირავს იარაღი, ანუ ფული.

პირველი შემოწირულობა ანგარიშზე უკვე შეიტანეს:

1. შპს სტამბა „ტორის“ ხელმძღვანელმა ნუკრი დოლიძემ – 1000 ლარი; 2. ჰომეოპათმა კახა საბახტარიშვილმა – 100 ლარი, 3. ტარიელ თაბაგარი – 3 ლარი, 4. ადვოკატი გურამ გვენცაძე – 100 ლარი, 5. დავით მამუკაშვილი – 1 ლარი, 6. მერაბ ომიაძე – 1 ლარი, 7. „ახალგაზრდა ადვოკატები“ – 100 ლარი, 8. „ტოიოტა-ცენტრის“ ხელმძღვანელი ირაკლი გურჩიანი – 1500 ლარი, 9. ირაკლი ქავთარაძე – 49 ლარი; 10. ოთარ ჯანდიერი – 10 ლარი; 11. ნათელა მაღლაკელიძე – 50 ლარი; 12. ს/ს „გურმანი“ – 50 ლარი; 13. ენრიკო იაკობაშვილი – 1000; 14. ზესიკი ადამია – 5; 15. ანა იმნაიშვილი – 5; 16. ჯიბუტი – 10; 17. დიმიტრი-ელენე-ენვერ ენდელაძე – 3; 18. რიმა გოჩიაშვილი – 50, 19. გელა სულაბერიძე – 2, 20. სერგო მწითურიძე – 100. 21. თამარ მდივნიშვილი – 5. 22. იოსებ ვაშაკიძე – 5, 23. ირინე ტატუნიშვილი – 5, 24. ნუკრი რევიშვილი – 10, 25. ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი – 500, 26. მანანა ვახტანგაძე, რევაზ ფახურიძე – 1, 27. ამხანაგობა საადვოკატო ბიურო მიგრიაული და პარტნიორები – 70, 28. ვასილ მეტრეველი – 10, 29. ლაერტი ზუბადალაშვილი – 100, 30. ჯუმბერ ტაგანაშვილი – 10, 31. შპს „ნილი“ – 50.

მადლობა მათ თანადგომისთვის.

## „ალიას“ და „კვირის ქრონიკას“ სოლიდარობას უცხადებენ

დღეიდან „რეპორტიორის“ არც ერთი თანამშრომელი „ფრესკოს“ პროდუქციას არ იყიდის. მოვუწოდებთ საქართველოს ჟურნალისტურ ოჯახს: მხარი დავუჭიროთ და გვერდში დავუდგეთ გაზეთ „ალიას“, რომელსაც ებრძვიან იმიტომ, რომ თავისი მკითხველების, ანუ საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს იცავს“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საპატიმროს დაცვის წევრებმა იჩხუბეს, 3 მძიმედ დაშავდა



რუსთავის №2 საპატიმრო დაწესებულების გარე პერიმეტრის დაცვის წევრებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა, რის შედეგადაც 3 ქისტი მძიმედ დაშავდა. დაშავებულთა ვინაობას განგებ არ ვასაჯაროებთ, რადგან თავად მათ ამ ეტაპზე მომხდარზე ღიად საუბარი არ სურთ.

„კონფლიქტი დაახლოებით სამი კვირის წინ მოხდა. თავდაპირველად 3 პანკისელს, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურში არიან, 20 ახალწვეულთან მოუვიდა დაპირისპირება, თუმცა არ ვიცი, სივიწროვის გამო, თუ რა მოხდა, ამ სამმა დანარჩენები სცემა. სიტუაცია განიმუხტა იმ მომენტისთვის, თუმცა შემდეგ ჩხუბი გარეთ გაგრძელდა. ბიჭები ძალიან არიან ნაცემები, აქვთ დაზიანებები, ტვინის შერყევა და ერთ-ერთს თავი ორგან აქვს გატეხილი. ცემის დროს რკინის დეტალი გამოუყენებიათ. ბიჭები ჯერ საავადმყოფოში გადაუყვანიათ, შემდეგ — ისევ ბაზაზე. ოჯახისთვის ამის შესახებ არავის შეუტყობინებია. ახლობლებმა მომხდარის შესახებ მხოლოდ ორი დღის წინ გაიგეს და მაშინვე ჩამოვიდნენ ხეობიდან ხელმძღვანელობასთან შესახვედრად. მათ მიერ მიღებული ინფორმაციით, პირველი კონფლიქტის შემდეგ „ჭკუის სასწავლებლად“ მეთაურმა დანარჩენებს ნებართვა მისცა, „სცემეთ, ოღონდ არ მოკლათო“.

როდესაც ბიჭების მშობლები ხელმძღვანელებს შეხვდნენ, მათ ინციდენტი არ დაუმალავთ, არც ის, რომ ბიჭების საავადმყოფოში გადაყვანა გახდა საჭირო, მაგრამ, რატომ არ შეატყობინეს თავის დროზე ოჯახებს, ან რატომ დროულად არ მოხდა რეაგირება, ან რატომ არ დაიწყო გამოძიება მომხდარის შემდეგ, – ამ კითხვებზე პასუხი ვერ მიიღეს. როგორც ოჯახს 2 ივნისის შეხვედრაზე უთხრეს, პირველი კონფლიქტის შემდეგ, რომელიც აბაზანაში მოხდა, ისევ პანკისელებმა დაიწყეს ჩხუბი. „მე ფანჯრიდან გადმოვიხედე, დაახლოებით 150-მდე კაცი იდგა და ამ ბიჭებს ისევ პანკისელებმა დაუწყეს ჩხუბი. შემდეგ ჩვენ ჩავერიეთ და სიტუაცია დავაშოშმინეთო“, – ასე უთხრა მშობლებს ხელმძღვანელმა.

„აქ უკვე ეჭვები ჩნდება, რატომ არ დაიწყეს გამოძიება, თუნდაც პირველ დაპირისპირებაზე და რატომ არ დაადანაშაულეს თავად პანკისელები? რატომ წაუყრუეს ფაქტს, ან თუნდაც მეორე შემთხვევას, თუ მათი ინტერესიც არ არის ამ საქმეში? მით უმეტეს, რომ ბიჭები ძალიან დაშავებულები არიან. ეს დაპირისპირება რომ მომხდარიყო მხოლოდ პირველ კონფლიქტში მონაწილეებს შორის, გასაგებია, ვიფიქრებდით, რომ ბიჭებს ჩხუბი მოუვიდათ, მაგრამ, როდესაც დაპირისპირებაში ერთვებიან სხვებიც მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველები არიან, ეს უკვე პრობლემაა და უნდა აღკვეთონ. ხელმძღვანელმა თავი იმართლა, არ გვემორჩილებიან, საღამოს იპარებიან ბაზიდანო და ა.შ. ეს მაშინ, როდესაც ამ ბიჭებს სახლში არ უშვებენ იმ მოტივით, „ტერორისტები ხართო“, ხოლო სხვები უკვე 3-4-ჯერ გაუშვეს სახლებში. ვფიქრობ, ამ ფაქტით შესაბამისი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ, რადგან, თუ მოხდა დღეს და იმ ფორმით, როგორც მოხდა, ხვალაც განმეორდება, მით უფრო, როდესაც ადამიანს უსამართლობის განცდა აქვს“, – განაცხადა ერთ-ერთი დაშავებულის ოჯახის ახლობელმა.

ცნობისთვის: რუსთავის №2 და თითქმის ყველა სხვა საპატიმრო დაწესებულების გარე პერიმეტრის დაცვის წევრები ძირითადად ახალწვეულები არიან. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქართველი გოგონა ტრეფიკინგის მსხვერპლია და დახმარებას ითხოვს!

უფლებადამცველი ლედი ტუკვაძე მისი დაცვის ქვეშ მყოფი 19 წლის ქუთაისელი გოგონას გადასარჩენად სახელმწიფოს დახმარებას სთხოვს. ადვოკატის თქმით, 19 წლის ნათია 4 წელია, საქართველოდან წავიდა და, სავარაუდოდ, თურქეთში ტრეფიკინგის მსხვერპლია.

„ნათია გიორგიძე არის ქუთაისელი, 19 წლის გოგონა. უკიდურესად მძიმე სოციალური ფონით.

4 წელია, დაკარგულად ითვლება. სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით, ის თურქეთში ერთ-ერთ სასტუმროში ქალბატონმა ნახა, რომელმაც ოჯახს შეატყობინა, რომ მას დანაწევრებას უპირებდნენ. ეს ქალბატონიც გაურკვეველ ვითარებაში ამ ზარის შემდეგ გარდაიცვალა. ძალიან გთხოვთ, ახალგაზრდებო, ქუთაისელებო, ქართველებო, გავერთიანდეთ, ერთად მოვძებნოთ ნათია გიორგიძე“, – აცხადებს ტუკვაძე.

„მე ვარ ნათია, ტრეფიკინგის მსხვერპლი, მიშველეთ“. – ამ ფრაზის ბანერები უკვე დაბეჭდილია, რადგან ყველა ქართველმა გაიგოს ფაქტის შესახებ“, – აღნიშნავს ადვოკატი. (რეპორტიორი)

## სასჯელაღსრულების მე-7 დაწესებულების დირექტორის მოადგილე დაითხოვეს



სახალხო დამცველის რწმუნებულების საქმიანობისთვის ხელის შეშლის გამო სასჯელაღსრულების №7 დაწესებულების დირექტორის მოადგილე, გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე სამსახურიდან განთავისუფლდა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დაასრულა სახალხო დამცველის წინადადების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმება სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში სახალხო დამცველის რწმუნებულთა საქმიანობის ხელის შეშლის ფაქტის შესახებ.

ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა სასჯელაღსრულების №7 დაწესებულების დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტი, რის გამოც მის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მკაცრი ზომა – სამსახურიდან განთავისუფლება.

გარდა ამისა, მითითება მიეცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, რათა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში თავიდან იქნას არიდებული მსგავსი ფაქტები. (ნიუსპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსთაველზე 4 აფრიკელს ფიზიკურად გაუსწორდნენ



რუსთაველის გამზირზე წარმოშობით 4 აფრიკელს ფიზიკურად გაუსწორდნენ.

სიტყვიერი შელაპარაკება ქართველებსა და აფრიკელებს შორის, სავარაუდოდ, მათი წარმოშობის გამო მოხდა. ამის შესახებ ინფორმაციას „ექსპრესნიუსი“ ავრცელებს. როგორც სააგენტო იტყობინება, აფრიკელებს თან 4 ქართველი ქალბატონი ახლდა.

„საქართველოში რა გინდათ, მოშორდით აქედან, აქ თქვენი ადგილი არ არის“, – მიმართავდნენ ეთნიკურად ქართველები აფრიკელებს.

აღნიშნულ გამონათქვამებს აფრიკელების მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა მოჰყვა, რის შემდეგაც ინციდენტი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ინციდენტის განმუხტვას, რამდენიმე მოქალაქე შეეცადა და ადგილიდან აფრიკელების გაყვანა მოხერხდა.

ადგილზე პოლიცია მომხდარიდან რამდენიმე წუთში გამოცხადდა და ინციდენტში მონაწილე პირები ადგილიდან გაარიდა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, პოლიციამ 3 ადამიანი დააკავა. გამოძიება, სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს. (ნიუსპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# „ნაციონალების“ ფონზე „ქართული ოცნების“ ტყუილიც კი დაიჯერება“



პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თავის ბოლო გამოსვლებში ხაზს უსვამს, რომ „ნაციონალებმა“ არც ერთ რეგიონში არ უნდა გაიმარჯვონ, მათი დრო წასულია და ასე შემდეგ. ასეთმა გამოთქმებმა „ნაციონალები“ ძალიან აღაშფოთა და უკვე შეურაცხყოფაზე გადავიდნენ. მაგალითად, გიგა ბოკერიას მიაჩნია, რომ პრემიერ-მინისტრი აკეთებს სამარცხვინო, კატასტროფულ და აბსოლუტურად უპასუხისმგებლო განცხადებებს. რა თქმა უნდა, ისეთი „დახვეწილი“ მანერების მქონე პრეზიდენტის საუბრების მოსმენის შემდეგ, როგორიც მიხეილ სააკაშვილი იყო, ძალიან ძნელია, ირაკლი ღარიბაშვილის გამონათქვამები მოისმინო. ბოკერიას თქმით, ვინაიდან პრემიერ-მინისტრი შხამს ანთხევს, ეს ყველაფერი სააკაშვილის მიერ აშენებულ ქართულ დემოკრატიას წინ დახვდება. უფრო შორს მიდის „ნაციონალების“ ერთ-ერთი უტყვი ლიდერი, გივი თარგამაძე, რომელიც „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ასეთ რამეს წერს:

„ჩემი მეზობელი ჰაკიმი გაყეყეჩდა. მერკელთან ვიზიტის წინ საკუთარი მნიშვნელობისა და სიდიადის გრძნობით აღივსო და წაიბლატავა, მიშა პლანტაციაზე უნდა ვამუშაოო, რითაც მთელ საერთაშორისო საზოგადოებას დაუმტკიცა, რომ არა მხოლოდ გონებრივად ჩამორჩენილი და განათლების მხრივ სტერილურია, არამედ განეკუთვნება იმ უმარტივესთა კლასს, მმართველობის ერთადერთ ფორმად 21-ე საუკუნეშიც მონათმფლობელობა რომ მიაჩნიათ... კახელი კაცი ხარ და ხალხს ნუ ათქმევინებ, სად ერეკლე და სად ბიძინას პინგვინის კვერცხიო“.

გივი პრემიერ-მინისტრს იმასაც ახსენებს, შევარდნაძე უფრო დიდ პოლიტიკოსებს ხვდებოდა უცხოეთში, მაგრამ როგორც კი ქართველმა ხალხმა უკეთესი ცხოვრება მოისურვა, ეგრევე მოისროლესო. თუმცა თარგამაძემ აქ სააკაშვილის პერიოდი შეგნებულად გამოტოვა, ისიც კი ხვდებოდა არანაკლებ პოლიტიკოსებს და როგორც ამბობენ, ობამასთან შეხვედრაშიც იხდიდა მილიონებს, მაგრამ როგორც კი ქართველმა ხალხმა უკეთესი ცხოვრება მოინდომა, ეგრევე „დაახვევინეს“. აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი: ჯერ ერთი, „ნაციონალებისგან“ ასეთი თავხედური კრიტიკა მიუღებელია, რადგან ისინი თესდნენ ბოროტებას 9 წლის განმავლობაში და მეორეც – როგორც პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, **კახი კახიშვილი** ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ირაკლი ღარიბაშვილს თავისი გამონათქვამებით საარჩევნო კოდექსი არ დაურღვევია:

– მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი ტიპის გამონათქვამები ჯდება საარჩევნო ნორმებში. სხვა საკითხია, რომ მოსასმენად არის არასასიამოვნო. სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ არ დახვეწა „ნაციონალების“ მიერ საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის მიღებული საარჩევნო კოდექსი. მმართველი გუნდი ისევ განაგრძობს აგრესიულ კამპანიას, ოღონდ აგრესიაში არ ვგულისხმობ წამებას, დაშინებასა და მოსყიდვას, უბრალოდ ფუფუნებით აღჭურვილი ოფისები აქვთ, ძვირადღირებულ მანქანებზე არიან შემომსხდრები და აკეთებენ დემონსტრირებას, თქვენზე არანაკლები ფული გვაქვსო.

– მე შეხება მაქვს რამდენიმე შტაბთან, იქ ნაცნობები მუშაობენ და არცთუ ისე ფუფუნებაში არიან.

– ყოველ შემთხვევაში, მე ვლაპარაკობ შემომწირველთა რაოდენობაზე და იმაზე, რა ფულიც იხარჯება საარჩევნო კამპანიაზე. ჩემი აზრით, „ნაცმოძრაობასთან“ ფულით შეჯიბრი არ არის საჭირო. რაც შეეხება „ნაციონალების“ მხრიდან ასეთი ტიპის განცხადებების გაკეთებას, ესეც „ქართული ოცნების“ ბრალია. სწორედ ამათ მისცეს „ნაციონალებს“ საშუალება, ისაუბრონ ამაყად იმაზე, თითქოს მათ დროს ისეთი არაფერი ხდებოდა. ის ადამიანები, რომლებიც ასეთი ტიპის სისტემას ნერგავდნენ, რომლებიც იყვნენ ავტორები ასეთი აგრესიისა, ცემისა და წამების, სამწუხაროდ,

**„მე „ნაციონალებს“ შევადარებ მაგარ სიგარეტს და „ქართული ოცნების“ სახით კიდევ მივიღეთ „ლაითი“ სიგარეტი. მე მეჩვენება, რომ ზოგ შემთხვევაში ვითარება გაუარესდა კიდეც, ზოგიერთი მინისტრი უკვე ველარ აკონტროლებს, რა ხდება მის გარშემო.“**

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ტყუილად არ აჟღურტულდეთ, ევრაზისტებო!



სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი სოციალურ ქსელში განცხადებას აქვეყნებს. სახელმწიფო მინისტრი თავისი სტატუსით, საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭების საკითხს ეხმაურება:

„ყურები არ ჩამოყაროთ ატლანტისტებო და ტყუილად არ აჟღურტულდეთ, ევრაზისტებო! წიწილებს შემოდგომაზე და უელსში ითვლიან! გითხარით, საინტერესოს გამოვაცხობთ! ე.ი. გამოვაცხობთ!“ – წერს ალექსი პეტრიაშვილი. (ნიუპოსტი)

## ანქვაბი აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს დამღუპველს უწოდებს



აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი გავრცელებულ მიმართვაში აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს დამღუპველს უწოდებს.

„მოგმართავთ თქვენ იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც აფხაზეთის სახელმწიფოს ბედისთვის, შესაძლოა, დამღუპველი იყოს. 27 მაისს ოპოზიციამ გამართა მიტინგი, რომლის შედეგად პრეზიდენტის, მთავრობისა და სახელმწიფო ტელევიზიის შენობების ძალისმიერი დაკავება მოხდა. ხელისუფლებამ სცადა, მოლაპარაკებები ეწარმოებინა ოპოზიციასთან, რომელსაც საკოორდინაციო საბჭო ხელმძღვანელობს, მაგრამ ამან კომპრომისულ გადაწყვეტილებამდე ვერ მიგვიყვანა. მე და ჩემს კოლეგებს გვესმის, რომ შეთანხმების მიღწევის ამოცანა მათ არ ჰქონიათ. მათ ამის სრულიად საწინააღმდეგო მითითება ჰქონდათ. ალექსანდრე ანქვაბისთვის თანამდებობა, მათ შორის პრეზიდენტის, არ წარმოადგენს უმაღლეს ღირებულებას. მე არ შემეძლო, მოვქცეულიყავი ისე, როგორც ოპონენტები. პირველივე დღეებიდან თქვენ ხედავთ, რა აინტერესებს ოპოზიციას – კაბინეტების დაკავება, მაგრამ ეს აისბერგის მხოლოდ ხილული ნაწილია. არანაირ რეფორმებზე საუბარი არ არის. მათი ინტერესების მადა ყოველდღიურად გაიზრდება. და ამ მადის უკან იმალება გაცილებით მეტი – საფრთხე აფხაზეთის სახელმწიფოებრიობისთვის. ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ადვილია, დაკარგო ჩვენთვის ყველაზე წმინდა, სასიცოცხლო სივრცე – აფხაზეთი შესაძლოა, აღარ იყოს“, – ნათქვამია მიმართვაში. (ნიუპოსტი)

## მძიმე სენით დაავადებული ბავშვებისთვის სოლიდარობის ფონდი შეიქმნება



ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, „ეს იქნება ერთგვარი სოლიდარობის ფონდი, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში აღარ იქნება, ეს იქნება ცალკე სტრუქტურა, ასეთი ფონდების ფუნქციაა ე.წ. პიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება, ეს იქნება ჯანდაცვა თუ მომავალში სოციალური მოთხოვნები. ფინანსური ნაკადების მობილიზაცია იქნება ერთგვარი ინოვაციური მეთოდი და ამის შესახებ ფონდის მომავალი ხელმძღვანელობა ისაუბრებს. წინამოსამზადებელი სამუშაოების, წინამემორანდუმების გაფორმების პერიოდის კონსულტაციები უკვე დასრულებულია. ვფიქრობ, ფონდი, როგორც სტრუქტურა, უახლოეს მომავალში ჩამოყალიბდება, დაახლოებით თვე-ნახევრის პერიოდში“. – განაცხადა სერგეენკომ. (ნიუპოსტი)

## „კრაკადილის“, „ვინტისა“ და „ჯეფის“ მოხმარება 90%-ით შემცირდა“



შს მინისტრის მოადგილის, ლევან იზორიას განცხადებით, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კრაკადილის“, „ვინტისა“ და „ჯეფის“ მოხმარება 90%-ით შემცირდა. მისი თქმით, ახალი ხელისუფლება ნარკოპოლიტიკაში თანმიმდევრულია.

„მარიხუანა გაერო-ს სიებში მოცემულია, როგორც ჯანმრთელობისთვის ძალიან მავნე ნარკოტიკული ნივთიერება. შესაბამისად, ეს არ არის მხოლოდ საქართველოს გადაწყვეტილება და ინიციატივა. საქართველო, როგორც კონვენციის წევრი ქვეყანა, ამ სიებს აღიარებს, როგორც ნარკოტიკულ ნივთიერებებს და მარიხუანაზე გამონაკლისს არ უშვებს“, – განაცხადა იზორიამ.

მისი თქმით, წინა ხელისუფლების მკაცრმა ნარკოპოლიტიკამ შედეგად მოიტანა კლასიკური ნარკოტიკული საშუალებების შავი ბაზრიდან პრაქტიკული გადევნა და მისი ჩანაცვლება ე.წ. საავთიაქო ნარკომანიით.

„პრაქტიკულად, სახელმწიფომ ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზება მოახდინა, იმიტომ, რომ არ იყო გარკვეული შეზღუდვები და კვოტები დაწესებული. ჩვენ თანმიმდევრულები ვართ ჩვენს ნარკოპოლიტიკაში. მთავარია, ჯერ მათ შემოდინებას, უკანონო ბრუნვას ვებრძოლოთ და შემდეგ უკვე არსებობს ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭო, რომელიც მსჯელობს, რა შეიძლება, როგორი პოლიტიკა შევიმუშავოთ, განსაკუთრებით ნარკოდამოკიდებულ პირთან მიმართებაში. კერძოდ, საუბარია, გარკვეული სერვისების მიწოდებაზე, გარკვეული სარეაბილიტაციო ცენტრების აშენებაზე. მარტო იმის თქმა, რომ ყველაფერი დეკრიმინალიზებული უნდა იყოს, მერწმუნეთ, ეს ჩვენი გენოფონდის ისევ სავალალო მდგომარეობაში ჩაყენებას გამოიწვევს, თუ რაღაც ალტერნატივაზე არ ვიფიქრეთ“, – განაცხადა იზორიამ. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

დღეს გვიკითხავენ მორალს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე. სწორედ „ქართული ოცნების“ ბრალია ისიც, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მისცეს დამნაშავე ადამიანები და საქმეები თაროზე შემოდეს. წარმოიდგინეთ, 2012 წლის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავსი პარტია რომ მოსულიყო, როგორი დღეები დაუდგებოდა ამ უკანასკნელს? ამიტომ „ქართულ ოცნებას“ ეკუთვნის დიდი მედალი, რომ ესენი გააცოცხლა.



**„ქართულ ოცნებას“ ეკუთვნის დიდი მედალი, რომ ესენი გააცოცხლა... „ქართული ოცნება“ დღეს თავს გრძნობს კომფორტულად და იმაზე არ ფიქრობს, ხვალ რა მოხდება“**

**— ჩვენ გვაინტერესებს შედეგი, რას მივიღებთ ასეთი მდგომარეობით?**

– შედეგად მივიღებთ იმას, რომ ორი პოლიტიკური ძალა ერთმანეთს ეკინკლავება, მაგრამ ამათ ერთმანეთი სჭირდებათ. „ნაციონალების“ ფონზე „ქართული ოცნების“ ტყუილიც კი დაიჯერება. მთელი დღის განმავლობაში იკავებენ მედიასივრცეს, ერთმანეთს ეპაექრებიან და „ნაციონალები“ საერთოდ ვერ გაიმარჯვებენ და მათი დრო დამთავრდა, ეს არის საარჩევნო კამპანიის პიარსვლა. ასეთ განცხადებებს აკეთებდა ბატონი მარგველაშვილი, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ყოველგვარი კოჰაბიტაცია დამთავრდებაო, მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ არაფერიც არ დამთავრდა. მეტიც, დამნაშავეების მიმართ ვიხილეთ გამამართლებელი განაჩენები. თუ „ქართულ ოცნებას“ „ნაციონალების“ გამარჯვება არ უნდოდა, მას კანონით დაშვებული ბერკეტები ჰქონდა, მაგრამ არ გამოიყენა. პირველ რიგში, უნდა მოეწესრიგებინა საარჩევნო გარემო, რათა სხვა პოლიტიკური პარტიებიც შემოსულიყვნენ არენაზე. ამით „ნაცმოძრაობა“ დაიჩრდილებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არავის არ აწყობს. „ქართული ოცნება“ დღეს თავს გრძნობს კომფორტულად და იმაზე არ ფიქრობს, ხვალ რა მოხდება.

**— ღარიბაშვილი გამოირჩევა „ნაციონალების“ მიმართ აგრესიულობით, მაგრამ ასეთივე აგრესიას ვერ ვხედავ მისი გუნდის წევრებში.**

– ჩვენი პრემიერი არის ახალგაზრდა. ის აღმოჩნდა უცებ მრავალპარტიული კოალიციის ლიდერი. ამ დროს კოალიციაში გაერთიანებულ თითოეულ ძალას აქვს თავისი ინტერესები და მიზნები. ჩემი აზრით, ირაკლი ღარიბაშვილის მთავარი შეცდომა არის ის, რომ „ნაცმოძრაობის“ დროს შექმნილი მონები გვერდში დაიყენა. მას ჰგონია, რომ ასეთი ადამიანები გაამაგრებენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდება. თუ ირაკლი ღარიბაშვილი არაკომფორტულად გრძნობს თავს ამ კოალიციაში, საკითხი დგას ძალიან მარტივად, მან გზა უნდა გაუხსნას ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანებს. ჩვენ ვხედავთ, რა ხდება საჯარო სამსახურებში, აქცენტი კეთდება ისევ ოდიოზურ ფიგურებზე და იმ ადამიანებზე, რომლებიც „ნაციონალი“ ლიდერების დავალებებს ასრულებდნენ ულაპარაკოდ. თუ პრემიერს სურს თავისი პოზიციების გამაგრება, მაშინ პროფესიონალები უნდა დაიყენოს გვერდით. დღეს არაკომპეტენტური გადაწყვეტილებები, რასაც მისი ხელქვეითები იღებენ, მას ჰბრალდება ისე, რომ შეიძლება თვითონ არც კი იცის ამის შესახებ. მე „ნაციონალებს“ შევადარებ მაგარ სიგარეტს და „ქართული ოცნების“ სახით კიდევ მივიღეთ „ლაითი“ სიგარეტი. მე მეჩვენება, რომ ზოგ შემთხვევაში ვითარება გაუარესდა კიდეც, ზოგიერთი მინისტრი უკვე ველარ აკონტროლებს, რა ხდება მის გარშემო. სააკაშვილის პერიოდში სისტემა იყო შექმნილი ერთი კაცისთვის და იმართებოდა ერთი კაცის ბრძანებით, თუ იგივე სისტემის შენარჩუნება დღეს ვინმეს უნდა, არ გამოუვა. ყველა რეგიონის მოგებაზე ლაპარაკი საჭირო არ არის.

**— ჩემი აზრით, ეს იყო ნათქვამი მხოლოდ „ნაციონალებთან“ დაკავშირებით, რომ მათ ვერ უნდა გაიმარჯვონ.**



**„ჩვენ დაგვავიწყდა, რამდენი ისეთი ადამიანია დაჯილდოებული დღევანდელ ხელისუფლებაში, რომელიც სასტიკად უსწორდებოდა ქართველ ხალხს. ამ ადამიანების ნამოქმედარი რომ შევადაროთ ალავიძის ნამოქმედარს, ეს უკანასკნელი ბავშვად მოგვეჩვენება“**

– არ იყო მხოლოდ „ნაციონალების“ მისამართით ნათქვამი. მე ვუშვებ, რომ პრემიერმა ეს განცხადებები გააკეთა საარჩევნო კამპანიის რეჟიმში, მაგრამ, ვინაიდან, ჩვენ 9 წლის განმავლობაში ვცხოვრობდით ისეთ ქვეყანაში, სადაც პირველი პირის მოწოდება იყო ყველა საჯარო მოხელისთვის კანონი, შესაძლებელია, პრემიერის ამ მოწოდებებსაც ისეთივე ეფექტი ჰქონდეს. მეტიც, ამას ბევრი მიიღებს, როგორც მითითებას.

**— დღეს ერთი ამბავია ატეხილი ალავიძისა და ბაღათურიას დაჯილდოებასთან დაკავშირებით. ისე, ვერც მე გავიგე, რა იყო ეს?**

– მე ძალიან უცნაურად მეჩვენება ის კამპანია, რაც ამ დაჯილდოებასთან დაკავშირებით დაიწყო. ეტყობა, ჩვენ დაგვავიწყდა, რამდენი ისეთი ადამიანია დაჯილდოებული დღევანდელ ხელისუფლებაში, რომელიც სასტიკად უსწორდებოდა ქართველ ხალხს. ამ ადამიანების ნამოქმედარი რომ შევადაროთ ალავიძის ნამოქმედარს, ეს უკანასკნელი ბავშვად მოგვეჩვენება. სხვათა შორის, დღეს რომ ბაღათურიაზე „ნაცმოძრაობა“ ლაპარაკობს, ვანო მერაბიშვილის მინისტრობის დროს ეგ კაცი ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსი იყო. ასე რომ, ვერ ვხვდები, რატომ აიწია ამ თემამ იმ ფონზე, როცა „ნაციონალი“ ჩინოვნიკები დღესაც კარგად გრძნობენ თავს სხვადასხვა სტრუქტურებში. როდესაც მოსახლეობის 80 პროცენტი გთხოვს რადიკალური გადაწყვეტილებების მიღებას, შენ სირაქლემას პოზაში კი არ უნდა დადგე, კანონის ფარგლებში უნდა იმოქმედო თამამად.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 10 თვის წინ გაუჩინარებული დარეჯან დიასამიძის ოჯახმა ქუჩა გადაკეტა



ბათუმში იუსტიციის სახლის წინ 10 თვის წინ გაუჩინარებული დარეჯან დიასამიძის ოჯახმა ქუჩა რამდენიმე წუთით გადაკეტა. დარეჯან დიასამიძის დედამ ლამზირა მახარაძემ სამართალდამცველი სტრუქტურის მაღალჩინოსნებს დრო პარასკევამდე მისცა, რათა გამოძიებასთან დაკავშირებით პასუხები გასცენ.

„გაფრთხილება მივეცით ხელისუფლებას, გადავკეტეთ გზა. პარასკევს დილიდან დავიწყებთ ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებს. ალექსანდრე ჭიკაიძემ ტელევიზიით განაცხადა, რომ შეგვხვდებოდა, თუმცა სამდღიანი ლოდინის შემდეგაც მასთან შეხვედრა ვერ ხერხდება“, – აცხადებს ლამზირა მახარაძე.

როგორც დაკარგული გოგონას მამა, ამირან დიასამიძე ამბობს, 28 მაისს ალექსანდრე ჭიკაიძესთან შეხვედრას შეჰპირდნენ, მაგრამ მოატყუეს.

„ალექსანდრე ჭიკაიძემ ჟურნალისტების კითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ პარასკევს შემხვდებოდა. მას შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა და ჯერაც არ მიგვიღო შეხვედრაზე. გზის გადაკეტვა გაფრთხილებაა. პარასკევამდე დაველოდებით სამართალდამცველების პასუხს გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, შემდეგ კი აქციებს გავმართავთ“, – აღნიშნა ამირან დიასამიძემ. (ნიუპოსტი)

## მარიხუანის მოხმარებაზე სასჯელი არ უნდა არსებობდესო

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი მიიჩნევს, რომ:



„სასჯელი საერთოდ არ უნდა არსებობდეს მარიხუანის მოხმარებაზე. სისხლის სამართლის დანაშაული არ უნდა იყოს. იმ ადამიანების კატეგორიას ვეკუთვნი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ არანაირი ნარკოტიკის მომხმარებელი ციხეში არ უნდა ჯდებოდეს, თუმცა ეს არ ეხებათ ე.წ. ბარიგებს. ეს ცალკე თემა და საკითხია. მარტო მე ვერ შევცვლი ამ კანონს. არ მაქვს ინფორმაცია, რომ ბევრი დეპუტატი ფიქრობს ჩემსავით. შემიძლია, ამნისტიის ამბავი გავიხსენო. ამ პერიოდში ორჯერ მომიხდა გამოსვლა პარლამენტში იმისთვის, რომ ამნისტია ნარკოტიკის მომხმარებლებსაც შეხებოდათ. ამ მუხლზე დიდი ხანი გავიჭედეთ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ უნდა გავჩერდეთ და ინიცირება არ უნდა მოვახდინოთ. შეიძლება, იმის მერე შეიცვალა რამე“, – განაცხადა ხიდაშელმა. (ნიუპოსტი)

## „ავღანელი“ და „აფრიკელი“ ქართველი სამხედროების ხელფასები გათანაბრდა



საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ ბრძანებაში ცვლილებები განახორციელა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ცენტრალური აფრიკის კონტინგენტის ანაზღაურება. ის ზუსტად იმ ოდენობისაა, რაც აქვთ ავღანეთში წარგზავნილ სამხედრო მოსამსახურეებს.

კერძოდ, წოდებების მიხედვით, შრომითი ანაზღაურება შემდეგი ოდენობით დამტკიცდა: პოლკოვნიკი – 1 770 აშშ დოლარი; ვიცე-პოლკოვნიკი – 1 570 აშშ დოლარი; მაიორი – 1 370 აშშ დოლარი; კაპიტანი – 1 190 აშშ დოლარი; უფროსი ლეიტენანტი – 1 090 აშშ დოლარი; ლეიტენანტი – 1 070 აშშ დოლარი; მთავარი სერჟანტი – 1 000 აშშ დოლარი; მასტერ სერჟანტი – 950 აშშ დოლარი; უფროსი სერჟანტი – 890 აშშ დოლარი; სერჟანტი – 860 აშშ დოლარი; უმცროსი სერჟანტი – 830 აშშ დოლარი; კაპრალი, კაპრალ-სპეციალისტი – 800 აშშ დოლარი; პირველი კლასის რიგითი – 770 აშშ დოლარი; რიგითი – 150 აშშ დოლარი; სამოქალაქო პერსონალის სტატუსის მქონე პირი – 1 200 აშშ დოლარი.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ევროკავშირის მანდატით, შეიარაღებული ძალების ასეულს გაგზავნიან. (ნიუპოსტი)

## კასპელი „მეოცნებეები“ პარტიის ლიდერებს ულტიმატუმს უყენებენ



„ქართული ოცნების“ კასპის ორგანიზაციის წევრებს 2 ივნისს ოფისის კარი დაკეტილი დახვდათ. შტაბის ყოფილი უფროსი რამაზ ბერიანიძე ამჟამინდელ ხელმძღვანელს ნუკრი ბუღაძეს კლანების ჩამოყალიბებასა და ადგილობრივი კადრების შევიწროებაში ადანაშაულებს.

მისი თქმით, კასპში ბუღაძის ჩასვლის შემდეგ „ქართული ოცნების“ რეიტინგი ნულს გაუტოლდა. კოალიციის წევრთა ერთი ნაწილი „ქართული ოცნების“ ლიდერებს ულტიმატუმს უყენებს. თუ კახა კალაძე და კოალიციის სხვა ლიდერები, 3 ივნისს, 12:00 საათამდე კასპში არ ჩავლენ, პარტიის ათასამდე წევრი კოალიციას დატოვებს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რატომ იმყოფებოდა ლალი მოროშკინა 3-საათიან დაკითხვაზე პოლიციაში?

2 ივნისს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი მრჩეველი, ლალი მოროშკინა თითქმის 3 საათის განმავლობაში ვაკის რაიონის პოლიციის სამმართველოში იმყოფებოდა. მან უკვე მეორედ მიმართა ამ რაიონის პოლიციას იმის თაობაზე, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე, დიმიტრი დარბაისელი ემუქრება და ლამის ყოველდღე ხალხსაც უგზავნის, თუ არ გაჩერდები, შენს მეუღლეს ერთხელაც ნარკოტიკები და იარაღი აღმოაჩნდებაო. თუკი გამწარებული დიმიტრი დარბაისელი ასე შორს მიდის და ცდილობს, ლალი მოროშკინაზე შური იძიოს, მაშინ ამ საკითხით უკვე პროკურატურა უნდა დაინტერესდეს და საქმე სხვა კუთხით გამოიძიოს, როგორც პირადი ანგარიშსწორების მცდელობა. თუ რა ხდება კონკრეტულად, ამ მხრივ, ამაზე „ალიას“ თავად **ლალი მოროშკინა** ესაუბრება:

**— ლალი, თუ შეიძლება, დეტალურად მომიყევი, რა ხდება და გითხრეს ვაკის რაიონის პოლიციის სამმართველოში?**

– მე უკვე მეორედ მივმართე პოლიციას იმაზე, რომ გაეშიფრათ და დაედგინათ სოციალურ ქსელებში ჩემი შეურაცხმყოფელი გვერდების ავტორები. სამწუხაროდ, ამაზე პასუხი ვერ მივიღე. მე საფუძვლიანი ეჭვი მქონდა და ახლა დავრწმუნდი, რომ ეს ცილისმწამებლური გვერდები სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შექმნეს და ამიტომაც არ მოხდა იდენტიფიცირება, თავიანთი ხალხი მაინც არ გაწირეს. მეორე – ახლა გავარკვიე, რომ დარბაისელი არ გადადგებოდა, რომ არ შეეთავაზებინათ მისთვის ნარკოლოგიური ტესტის გავლა. როგორც კი უთხრეს, ნარკოტესტი უნდა ჩაგიტაროთო, ეგრევე დაწერა განცხადება და წავიდა.

**— აქ დავაზუსტოთ, დიმიტრი დარბაისელმა ნარკოტესტი არ ჩაიტარა?**

– არა, არ ჩაატარებინა, რადგან მისი ნარკომანობა დადასტურდებოდა. ახლა დადის ეს საცოდავი და ორლობის დედაკაცივით ჭორაობს, ეგ პრემიები იმიტომ გამოვწერე, რომ ფული ზემოთ მიმქონდაო.

**— თუ ფული ზემოთ მიჰქონდა, მაშინ რატომღა გაუშვეს?**

– როგორც ჩანს, მან თავის ჭკუაზე თავისი ყოფილი თანამშრომლებიც დააყენა და ლაპარაკობენ, ჩვენ ფული საერთოდ არ აგვიღია, მარტო უწყისზე მოვაწერეთ ხელიო. ამ საკითხით უკვე პროკურატურა უნდა დაინტერესდეს, უნდა გაარკვიონ, რა იყო და როგორ იყო. დარბაისელი ხვდება, რომ მის გარშემო წრე უკვე პატარავდება და თავის დაძვრენას ცდილობს, ის თითს იშვერს ზემოთ, ეს ფული მარტო მე არ ამიღიაო. როგორც ამბობენ, მან ამ გზით 3 მილიონი ლარი ჩაიჯიბა. ასევე, არ საჯაროვდება ინფორმაცია, რა მოხდა სააღდგომო დღეებში, როცა ამაზე დიდი ფული გაათეთრეს.

**— შენ ადასტურებ, რომ დარბაისელი ხალხს გიგზავნის და გაშინებს?**

– დიახ, ჩემთან მოდიან ადამიანები და მეუბნებიან, თუ არ გაჩუმდები, შენს ქმარს იარაღს ჩაუდებენ და დაიჭერენო. დარბაისელმა გაიგო, რომ მე სტრასბურგში მაქვს შეხვედრები და საშინლად ნერვიულობს, ციხეში არ ამოყოს თავი. აი, სწორედ ამიტომ მივედი ვაკის პოლიციაში, სადაც ოქმი შეადგინეს და იქ ჩაიწერა ყველაფერი.

**— რა ყველაფერი ჩაიწერა?**

– მე ვითხოვ, რომ დიმიტრი დარბაისელმა დაწეროს ახსნა-განმარტება და ჩაიბაროს ოქმი, სადაც წერია მისი მუქარების შესახებ. დანარჩენი მოთხოვნები პროკურატურასთან მაქვს, სადაც ჩავაბარე ყველა დოკუმენტი. მე ერთი წუთითაც არ გავჩერდები, ძალიან დიდ პატივს ვცემ პრემიერ-მინისტრს, ძალიან დიდ პატივს ვცემ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას, მაგრამ რამდენიმე ადამიანმა არ უნდა მოახდინოს მთელი სისტემის დისკრედიტაცია.

**— დიმიტრი დარბაისელის ადგილზე ვინც დანიშნეს, გოგი გახარია, როგორია, ამ ადამიანზე რას იტყვი?**

– ერთადერთი ნორმალური, ვინც დარბაისელმა მოიყვანა, გოგი გახარიაა. მე მქონდა მასთან შეხება და ყოველ შემთხვევაში, „ზონდერობაში“ არ ყოფილა შემჩნეული. თუმცა ის სიაში პირველია, ვინც 38 ათასი ლარი აიღო პრემიის სახით. ეგ თვითონ უნდა თქვას, რეალურად აიღო თუ არა ეს ფული?

**— ახლა პოლიცია რას გააკეთებს, რამეს აპირებს რომ შენს ქმარს არაფერი ჩაუდონ?**

– ასე მითხრეს, დავურეკავთ დარბაისელს და ოქმს ჩავაბარებთ, ეს ადამიანი არასამართლებრივი მეთოდებით არ უნდა იბრძოდესო. მოკლედ, გამოვიძახებთ და გავესაუბრებითო.

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

# ბიზნესის განვითარების უახლესი ტექნოლოგიები „ჯეოსელისა“ და „მაიკროსოფტისგან“

თქვენი ბიზნესის უფრო ეფექტურად მართვისთვის „ჯეოსელი“ და „მაიკროსოფტი“ სრულ და კომფორტულ მომსახურებას გთავაზობთ. რაც მთავარია, გეძლევათ შესაძლებლობა, თქვენს საქმიანობას ძვირადღირებული ტექნოლოგიებისა და ლოკალური სერვერების გარეშე წარუძღვეთ.

სიახლით „ჯეოსელი“ ერთმანეთთან აკავშირებს ბიზნესსა და „ღრუბლოვანი სერვისების“ ვირტუალურ სივრცეს, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმას ნიშნავს, რომ ბიზნესს ექნება საშუალება, მართოს თავისი კორპორაციული საქმიანობა ძვირადღირებული ტექნოლოგიებისა და ლოკალური სერვისების გარეშე.



უკვე მოცემული მომენტიდან, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, რომლებიც ამავე დროს „ჯეოსელის“ კორპორაციული აბონენტები არიან, შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ „ჯეოსელისა“ და „მაიკროსოფტის“ ერთობლივი შეთავაზებით და ჰქონდეთ კორპორაციული აიტი სერვისების ინფრასტრუქტურა ძვირადღირებული ლოკალური სერვისების გარეშე.

ახალი Office 365-ის საშუალებით, მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია, მოკლე დროში გაზარდოს წარმადობა და ამავე დროს, უკვე კორპორაციულ დონეზე, ისარგებლოს Office-ის ყველა ფუნქციით: შეამოწმოს კორპორაციული ელფოსტა, მართოს კალენდარი, განაახლოს დოკუმენტები და გამართოს ვიდეოკონფერენციები ნებისმიერი წერტილიდან. აღნიშნულ პროგრამებზე წვდომა შესაძლებელია, როგორც პერსონალური კომპიუტერით, ასევე, სმარტფონებითა და ტაბლეტებით. ამასთანავე, „ჯეოსელისა“ და „მაიკროსოფტის“ ერთობლივი შეთავაზების ფარგლებში მომხმარებელი მიიღებს ასევე „ჯეოსელის“ სერვისებს – მოწყობილობებს მობილური ინტერნეტისთვის და სასაუბრო დროს.

აღსანიშნავია, რომ „მაიკროსოფტი“ უზრუნველყოფს სანდო და ლიცენზირებულ მომსახურებას, რაც მეწარმეებს თავიდან აარიდებს პირატული პროგრამების მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებსა და საფრთხეებს.

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, კომპიუტერული პროგრამებისგან განსხვავებით, „ღრუბლოვანი სერვისი“ ინსტალირდება არა უშუალოდ მომხმარებლის კომპიუტერში, არამედ მომხმარებლისგან მოშორებულ სერვერზე ან სულაც სერვერთა ჯგუფში.

მსგავსი მიდგომა მომხმარებლისთვის ძალზე მოსახერხებელია, ვინაიდან კომპიუტერული პროგრამის გაუმართავმა მუშაობამ შესაძლოა, არაერთი პრობლემა შექმნას. გარდა ამისა, კომპიუტერში პროგრამების შეუფერხებელი მუშაობა მომხმარებელმა თავად უნდა უზრუნველყოს, რაც დამატებით ხარჯებსა და დროის ხარჯვას მოითხოვს, მაშინ როცა „ღრუბლოვანი სერვისის“ შემთხვევაში ამაზე პასუხისმგებელი სერვისის ადმინისტრაციაა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი „მაიკროსოფტი“. შესაბამისად, კომპანიას კომპიუტერებში პროგრამების გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად დამატებითი თანამშრომლების დაქირავება არ სჭირდება.

„ჯეოსელის“ მიერ მცირე და საშუალო მეწარმეებზე მორგებული სერვისი წელიწადში, სულ რაღაც, 320 ლარი ღირს და ამ სერვისზე შესაძლებელია 5 კომპიუტერის მიერთება.

**დავით ასათიანი, „მაიკროსოფტის“ რეგიონული დირექტორი:**

– ორი წარმატებული კომპანია – „თელია სონერა“ და „მაიკროსოფტი“ ლოკალურ ბაზარზე კორპორაციულ მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, გამოიყენოს „მაიკროსოფტის“ საოფისე პროგრამა, რომელსაც ახლავს პროგრამის უსაფრთხოება და მომსახურების საუკეთესო ფასი. ამასთანავე, მომხმარებელი „ჯეოსელის“ სრულ სერვისსაც მიიღებს. გასათვალისწინებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება – საოფისე პროგრამები ბევრ შემთხვევაში საქართველოში გამოიყენება არალიცენზირებულად, ამ შემთხვევაში კი ბიზნესი ლიცენზირებულ პროდუქტს შეიძენს. ამასთან ერთად, რადგან ეს „ღრუბლოვანი ტექნოლოგიაა“, მისი ფასი უფრო ნაკლებია. გარდა ამისა, ინფორმაცია, რომელიც შენახული იქნება ამ „ღრუბელში“, დაცული იქნება „მაიკროსოფტის“ დატა-ცენტრებში

**პასი კოისტინენი, „ჯეოსელის“ აღმასრულებელი დირექტორი:**

– ორი უდიდესი კომპანიის შეთავაზება მცირე და საშუალო მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს, ისარგებლონ კომფორტული მომსახურებით, რომელშიც შედის ლიცენზირებული საოფისე პროგრამა და ამასთანავე, „ჯეოსელის“ მომსახურება – მობილური ინტერნეტი და დამატებით მომსახურების ერთიანი პაკეტი, მობილურ ტელეფონთან ერთად.

„თელია სონერა“ მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი უდიდესი სატელეკომუნიკაციო კომპანიაა. ჩვენ სწორედ ამ დიდი ჯგუფის წევრი ვართ, ჩვენი პარტნიორებიც ისეთივე დიდი კომპანიებია, როგორიც არის „მაიკროსოფტი“. სწორედ, „მაიკროსოფტთან“ ერთად კორპორაციულ მომხმარებელს ვთავაზობთ ოფისებისთვის, საქმის წარმოებისთვის შეიძინონ ლიცენზირებული და დაცული პროგრამები და მათთან ერთად ჩვენი მომსახურება, რომელიც გულისხმობს მობილურ ტელეფონსა და მასში ჩართულ მობილურ ინტერნეტს.

**მიხეილ სახვაძე**

*მეხუთე გვერდიდან*

იმედია, გასაუბრების შედეგებს მეც გამაცნობენ.

**— შენს ღია წერილში, რომელიც „ქრონიკაში“ გამოქვეყნდა, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს სთხოვდი შეხვედრას, ამ მხრივ ხომ არაფერია ახალი?**

– ჯერჯერობით ამ მხრივ ახალი არაფერია. პრინციპში, ახლა მას ვიზიტები აქვს და ამისთვის ვერც მოიცლის. მე 17 ივნისს მივდივარ ევროპაში და კარგი იქნებოდა მანამდე მასთან გასაუბრება. არ ვიცი, ეგ მისი გადასაწყვეტია. უნდა შევხვდე ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ხელმძღვანელს და სხვა უფლებადამცველებს. 4 ივნისს თავად პრემიერ-მინისტრი ატარებს პრესკონფერენციას ქართველი ჟურნალისტებისთვის და იმედი მაქვს, იქ აუცილებლად იქნება ამ საკითხებზე საუბარი.

**— ევროპაში რა საკითხებზე გექნება საუბრები, დარბაისელს ახლა იქიდან უნდა შეუტიო?**

– უკვე გითხარი, ამ საქმეს არ მოვეშვები, ჯერ ერთი, დარბაისელმა ჩემი უფლებები დაარღვია და მეორეც – ეს საქმე უნდა გამოიძიოს პროკურატურამ. დარბაისელი თანამდებობიდან მოხსნეს და მორჩა? ასე არ გამოვა, ვიმეორებ: ის ჭორიკანა დედაკაცივით დადის და თითს ხან ვისკენ იშვერს, ხან – ვისკენ, თუ შნო აქვს, მივიდეს პროკურატურაში და მისცეს ჩვენება.



**„დარბაისელი ხვდება, რომ მის გარშემო წრე უკვე პატარავდება და თავის დაძვრენას ცდილობს, ის თითს იშვერს ზემოთ, ეს ფული მარტო მე არ ამიღიაო. როგორც ამბობენ, მან ამ გზით 3 მილიონი ლარი ჩაიჯიბა“**

**— პროკურატურაში რომ მივიდეს, უნდა დაიბარონ.**

– ჯერჯერობით არ იბარებენ. ამიტომაც მივდივარ სტრასბურგში, თან მიმაქვს ყველა მტკიცებულება და დოკუმენტი.

**— დიდი, დიდი, ევროპამ რეკომენდაცია გამოუგზავნოს ჩვენს ხელისუფლებას, მერე?**

– მე აქ ყველა გზა ამოვწურე, უფრო სწორად, ვიღაც-ვიღაცები ცდილობენ, რომ ამოვწურო. თუ ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელს ზარ-ზეიმით ვაწერთ, მაშინ რეკომენდაციები და რჩევებიც უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლებამ. მე ვერ გავჩერდები, ხელებს ვერ ჩამოვუშვებ. როდესაც სახალხო დამცველის წარმომადგენლები სასჯელაღსრულების მე-7 დაწესებულებაში შედიან და დირექტორი მათ აპატიმრებს, ანუ მუშაობის საშუალებას არ აძლევს, ეს უკვე შემაშფოთებელია. სხვათა შორის, ამ დირექტორს, შოთა ტრაპაიძეს განცხადება აქვს დაწერილი და შევბულებაშია გასული, მას ჰგონია, არჩევნები ჩაივლის და ყველაფერი შერჩება, მაგრამ ძალიან ცდება. მე ასევე მიმაქვს დოკუმენტები, რომ ჩვენს ციხეებში აზარტულმა თამაშებმა იმატა, რაც გარეთაც აისახება. როდესაც პატიმრები თანხებს აგებენ, ბუნებრივია, ფული გარედან უნდა შევიდეს და ეს იწვევს ყაჩაღობის გახშირებას. მე არ ვამბობ, რომ ამაში სასჯელაღსრულების ადმინისტრაციაა ჩართული, მაგრამ ციხეების ასე მიშვებაც არ შეიძლება, ჩვენ ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა გადავვარდეთ. თუკი საქმეში ქურდული სამყარო ჩაერევა, ეს ჩვენ ევროკავშირთან ვერ მიგვიყვანს.



**„მე ერთი წუთითაც არ გავჩერდები, ძალიან დიდ პატივს ვცემ პრემიერ-მინისტრს, ძალიან დიდ პატივს ვცემ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას, მაგრამ რამდენიმე ადამიანმა არ უნდა მოახდინოს მთელი სისტემის დისკრედიტაცია“**

**— შვეიცარიისთვის თავშესაფრის მოთხოვნა მოიხსნა?**

– საელჩოში არ ვყოფილვარ, პრესის საშუალებით ვაცნობე ჩემი მოთხოვნა. ევროპაში რომ ჩავალ, ამ საკითხსაც ჯერ იქ გავარკვევ.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## არჩევნების გაყალბებას არც ვიკადრებთო



ვიცე-პრემიერი, კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, კახა კალაძე პარტია „ნაციონალური მოძრაობისა“ და სხვა ოპოზიციური პარტიების ბრალდებებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მთავრობას არანაირი საჭიროება არ აქვს, რომ არჩევნები გააყალბოს.

„სასაცილოა ეს განცხადებები, უბრალოდ, როდესაც ამ განცხადებებს ვისმენ ისეთი პოლიტიკური ძალებისგან, რომლებიც 9 წლის განმავლობაში მართავდნენ ქვეყანას და რა ვითარებაში და რა მდგომარეობაში იყო ქვეყანა, ყველას კარგად გვახსოვს. პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ ხელისუფლებას, მთავრობას, არანაირი საჭიროება არ გვაქვს იმის, რომ არჩევნები გავაყალბოთ და ამას არც ვიკადრებთ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

კალაძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ კვლევებს ხშირად ატარებს და მათ კარგად იციან რეიტინგები, ვის რა რეიტინგი და შესაძლებლობა აქვს. (ნიუპოსტი)

## მენინგიტზე სკოლებში კონტროლი გაძლიერდა



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მენინგიტის შემთხვევებთან დაკავშირებით, სკოლებში მონიტორინგი გააძლიერა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, თამარ სანიკიძის განცხადებით, საჯარო სკოლებში მივლინებული არიან როგორც რესურსცენტრების, ასევე სამინისტროს მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც მდგომარეობას აკონტროლებენ. მინისტრის ინფორმაციით, აღნიშნული პირები აკონტროლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, ასევე ჰიგიენური პირობების დაცვას. (ნიუპოსტი)

## თურქულ მხარეს ნოტა გაეგზავნა



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე თურქი ტუროპერატორების ჩასვლის ფაქტს ეხმაურება:

„ოკუპირებულ აფხაზეთში თურქული ტუროპერატორების შესვლასთან დაკავშირებით ჩვენ საპროტესტო ნოტა გავგზავნეთ. ჩვენ ამ საკითხზე თურქეთის მთავრობასთან დიალოგი გვაქვს. სამწუხაროა, რომ მსგავსი ფაქტები ხდება და სჯობს, ასეთი რამ არ იყოს. მოგეხსენებათ, თურქეთის მთავრობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს აღიარებს და ცალსახად უჭერს მხარს. ჩვენი მიდგომა ამ საკითხის მიმართ იქნება პრინციპული და მკაცრი, რადგან ვთვლით, რომ, თუკი ქვეყანა ატარებს პოლიტიკას, მას საკმაო ბერკეტები და ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს, რომ ესა თუ ის სტრუქტურა ამ კონკრეტიკას პატივს სცემდეს“. – განაცხადა ჯალაღანიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რა კავშირშია 15 წლის გოგონას თვითმკვლელობასთან ზალდასტანიშვილის ამერიკული აკადემია



რამდენიმე დღის წინ თბილისში შემზარავი ამბავი მოხდა, 15 წლის გოგონამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ვრცელდებოდა ვერსია, რომ გოგონას თვითმკვლელობას დედა ქუჩაზე შეესწრო, ქალბატონმა ვერ გაუძლო განსაცდელს, ავიდა კორპუსში და თავადაც გადმოხტა მე-9 სართულიდან, თუმცა ის მეზობლის აივანზე დაეცა და გადარჩა.

თუმცა, როგორც ოჯახის ახლობლებმა განაცხადეს, დედა არათუ ქუჩაში, არამედ თავადაც სახლში იმყოფებოდა, როცა გოგონა მოწყვეტით აივანზე გაიქცა და გადახტა, რის შემდეგაც ის ადგილზევე გარდაიცვალა, მხოლოდ ამის შემდეგ სცადა დედამაც თვითმკვლელობა, ისიც გადახტა, თუმცა, საბედნიეროდ, მეზობლის აივანზე დაცემამ გადაარჩინა.

ცნობილი ხდება დამატებითი დეტალები. კერძოდ, გარდაცვლილი გოგონა, რომლის ვინაობასაც არ ვასახელებთ, გივი ზალდასტანიშვილის ამერიკულ აკადემიაში რამდენიმე ხნის გადასული იყო სხვა სკოლიდან. გოგონას დედა ე.ი. (ქალბატონის სახელსა და გვარსაც შეგნებულად არ ვასახელებთ) ზალდასტანიშვილის სკოლას საყვედურობს და ამბობს, რომ სწორედ ამ სკოლაში გადასვლის შემდეგ, გაურკვეველი მიზეზებით, გოგონას ფსიქოლოგიური პრობლემები შეექმნა, რასაც ბავშვი ძალიან განიცდიდა. ახლობლების ინფორმაციით, გოგონა ძალიან მოწესრიგებული, მშვიდი და მეგობრული ბავშვი იყო, თუმცა მათთვისაც უცნობია, რატომ შეიცვალა გოგონა ამერიკულ აკადემიაში გადასვლის შემდეგ.

„ნიუპოსტი“ ინფორმაციის გადამოწმებას გივი ზალდასტანიშვილის ამერიკულ აკადემიაში შეეცადა. სკოლაში ადასტურებენ, რომ გარდაცვლილი გოგონა ამერიკული აკადემიის მოსწავლე იყო, თუმცა, გარდაცვლილი არასრულწლოვანისა და მისი ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებენ. (ნიუპოსტი)

## ანგელა მერკელისგან მხარდაჭერა მივიღეთ



პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, გერმანიის კანცლერ ანკელა მერკელისგან ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში მხარდაჭერა მივიღეთ. მისი თქმით, გერმანიასა და საქართველოს შორის უნდა გაღრმავდეს ვაჭრობა, ეკონომიკა, კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობები.

„შეხვედრაზე ანგელა მერკელმა გამოხატა მკაფიო მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნისადმი. მადლობა მხარდაჭერისთვის. ეს ვიზიტი დიდ მნიშვნელობას იძენს საქართველო-გერმანიის ურთიერთობების კონტექსტში. ჩვენს ქვეყნებს მეგობრობის ხანგრძლივი ტრადიცია აკავშირებთ. ჩვენ გერმანიის მხრიდან მივიღეთ მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი. 27 ივნისს ჩვენ ხელს ვაწერთ ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას და ევროპული ინტეგრაციის პროცესის ახალ ეტაპზე გადავდივართ. გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელისგან ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში მხარდაჭერა მივიღეთ“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერის თქმით, ასოცირების ხელშეკრულების პროცესში გაღრმავდება სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

„შეხვედრაზე ჩვენ გავაცანით ჩვენი მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმები, რომელიც მიმართულია დემოკრატიის, კანონის უზენაესობის გაძლიერებისკენ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კუთხით გვჯერა, რომ უფრო მეტად გავაღრმავებთ ჩვენს შორის არსებულ ურთიერთობებს. ჩვენ ასევე მივაწოდეთ ინფორმაცია რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების კუთხით, ჩვენ ბევრი კონსტრუქციული ნაბიჯი გადავდგით ამ მიმართულებით, რამაც რეალური შედეგი გამოიღო. ამან აჩვენა, რომ საქართველოს ჰყავს სტაბილური და კონსტრუქციული მთავრობა“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ნიუპოსტი)



# რა საკითხებს განიხილავს დღეს წმინდა სინოდი?

ზუსტად ერთი კვირის წინ საქართველოს პატრიარქის სახელით გამოქვეყნებულმა წერილმა ქართველ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. თავიდან ძალიან ბევრი დაიბნა, მაგრამ მოგვიანებით საპატრიარქოს მიერ გავრცელებულმა განცხადებამაც ველარ გაფანტა ბურუსი. ფაქტია, წერილი ისე ჭკვიანურად და დროში ისე მოხერხებულად არის შემოგდებული, ძნელია, რაღაც-რაღაცები არ დაიჯერო. მით უმეტეს, თუ ზოგიერთი სასულიერო პირი ხმამაღლა აცხადებს, რომ 3 ივნისს წმინდა სინოდის სხდომაა დანიშნული და გარკვეულ ძალებს მისი უწმინდესობის გადაყენება აქვთ დაგეგმილი:

„მე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია შიოლაშვილი-ღუდუშაური, სრულად ვაცნობიერებ ჩემზე, როგორც ერის სულიერ მამაზე და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ იერარქზე დაკისრებულ მოვალეობას და პასუხისმგებლობას, ჩემო სულიერო შვილებო, თქვენსა და ღმერთის წინაშე, და ვაცხადებ:

ბოლო დროს ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, რის გამოც სრულად ველარ ვახერხებ, ვმართო ეკლესია და დავმწყსო მრევლი!

ექიმებიც მირჩევენ, დავისვენო.

ამიტომ, სამაგალითოდ ვიღებ ჩემი ქრისტესმიერი ძმის, ამჟამად პაპ-ემერიტუსის ბენედიქტეს მართლაც ქრისტესმიერ ქმედებას, და მომავალ კვირას, ჟამის წირვის შემდეგ, მე გადავდგები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის კათედრიდან და თქვენთვის, საქართველოსთვის და ყოველთა ქრისტეანეთათვის გავაგრძელებ ლოცვას ერთ-ერთ მონასტერში, როგორც რიგითი ბერი!

ასევე ვაცნობიერებ, რომ ახალი კათალიკოსის არჩევამ შეიძლება გახლიჩოს ეკლესია!

ამის გამო, შაბათს გაიმართება წმიდა სინოდის სხდომა, და შევიტანთ შესწორებას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებაში – დროებით, ეკლესიის მართვას განახორციელებს წმიდა სინოდი! გთხოვთ, შემინდოთ და ლოცვა ჰყოთ ჩემთვის!

პატრიარქი, ილია მეორე"

წმინდა სინოდის სხდომა 3 ივნისს მართლაც გაიმართება. ამის შესახებ განცხადება ილია მეორის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა გაავრცელა:

„სინოდის სხდომა ნამდვილად იქნება, მაგრამ საკითხი, რომელსაც ავრცელებენ, თითქოს პატრიარქი აპირებს განცხადების გაკეთებას გადადგომის შესახებ, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამება. სირცხვილია ასეთი თემებით სპეკულირება. არ ვიცი, ეს ადამიანები რა გასართობს ნახულობენ ამაში. წმინდა სინოდის სხდომა წელიწადში ორჯერ იმართება: ერთი გაზაფხულზე და ერთი შემოდგომაზე და ეკლესიისთვის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავს".

სამაგიეროდ, საწინააღმდეგოს ამტკიცებს მამა ელიზბარ დიაკონიძე, რომლის ინტერვიუც პირველ ივნისს გამოვაქვეყნეთ „კვირის ქრონიკაში":

„სამშაბათს, 3 ივნისს, სინოდის სხდომის დროს გარეთ ორივე სანაპიროზე ნემსი არ უნდა ჩავარდეს, იმდენი კაცი უნდა მოვიდეს, ეპარქიებიდანაც უნდა დაიძრას ხალხი... კანონის უხეში დარღვევაა ეს და დაუშვებელია დამსახურებულ თუ დაუმსახურებელ პენსიაზე მიდიოდეს პატრიარქი! მას შეუძლია გადადგეს, როგორც დემეტრე თავდადებულის დროს გააკეთა ეს პატრიარქმა, მაგრამ მან უნდა დაასახელოს თავისი მემკვიდრე და არა „სინოდნალნია კანტორამ"!

სააგენტო „ფრონტნიუსის" წყარო პატრიარქის შესაძლო გადადგომას უარყოფს და აცხადებს:

„ეს თემა დღის წესრიგში ვერც დადგებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მსგავს შემთხვევებში ყველაფერი მკაცრად განსაზღვრული წესით ხდება: არავის აქვს სიცოცხლეში პატრიარქის გადაყენების უფლება, თუ ის თავად არ გადადგება. რაც შეეხება ელიზბარ დიაკონიძეს, ის არ წარმოადგენს სასულიერო პირს. მართალია, ის ჯერ ბოლნისის ეპარქიაში მსახურობდა, შემდეგ — სამების საკათედრო ტაძარში დიაკვნად, თუმცა გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე, მსახურების უფლება შეუწყდა და ახლა ყველა სასულიერო პირს გაცემული აქვს კურთხევა, დიაკონიძესთან კონტაქტს თავი მოარიდოს, ამდენად, ინფორმაცია პატრიარქის შესაძლო გადაყენების შესახებ, ასეთი რამ რომც წარმოვიდგინოთ, მას უბრალოდ ვერ ექნებოდა". — აღნიშნა წყარომ.

სააგენტოს წყარო იქვე დასძენს, რომ წმინდა სინოდის კრებაზე რამდენიმე მღვდელს ჯვარს ახსნიან (მღვდელმსახურებას შეუჩერებენ), ხოლო ორ სასულიერო პირს ეპისკოპოსად აკურთხებენ.

ჩვენ 2 ივნისს, გვიან ღამით კიდევ ერთხელ ვცადეთ გადამოწმება იმის თაობაზე, 3 ივნისს მართლა გაიმართება თუ არა წმინდა სინოდის სხდომა? იმ ტელეფონზე, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალურად საკუთარ ვებ-გვერდზე აქვს მითითებული (2 99-03-78) კი გიპასუხებთ ვინმე ქალბატონი ნაზი და „მორწმუნე" ხმით, მაგრამ როგორც კი რაიმეს ჰკითხავთ, ეგრევე გაგითიშავთ და ამის შემდეგ ახლოს აღარ გაეკარება ყურმილს.

როგორც მამა გიორგი ზვიადაძე ამბობს „ალიასთან" საუბარში, წმინდა სინოდის სხდომა 3 ივნისს დღის 12 საათზე დაიწყება და იქ არ იქნება პატრიარქის გადადგომის საკითხის განხილვა. ვნახოთ, ჩვენი მამაოები ხშირად ბევრ რამეს უარყოფენ, მაგრამ მერე სიტუაცია სულ სხვანაირად შეტრიალდება ხოლმე. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა" განმეორებით აცხადებს №IV-1403 ფასთა ღია გამოკითხვას სხვადასხვა მასალების შეძენასთან დაკავშირებით:**

ლოტი 2 - ქიმიური რეაგენტები, რეაქტივები და ინვენტარი ქიმიური სამქროსთვის

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალებისა და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის" შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა, წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. №2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 17 ივნისი 15 საათი.*

**სს „ხრამჰესი 1" აცხადებს ფასთა ღია გამოკითხვას „ტოიოტა პრადოსა" და „ტოიოტა რავ 4"-ის ტიპის ავტომანქანების გაყიდვასთან დაკავშირებით:**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა/ფიზიკურმა პირებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7/6

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 17 ივნისი 15 საათი.*

**სს „ხრამჰესი 2" აცხადებს ფასთა ღია გამოკითხვას „ტოიოტა ლენდკრუიზერ 100"-ის ტიპის ავტომანქანის გაყიდვასთან დაკავშირებით:**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა/ფიზიკურმა პირებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა, წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7/6

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 17 ივნისი 15 საათი.*



# ალეკო შალამბერიძე: „ბევრ ადამიანს ჯერ კიდევ აქვს ერთგვარი შიში „ნაციონალური მოძრაობისა“, რომელსაც „ქართული ოცნება“ ძირითად ოპონენტად თვლის“

„ალიას“ ესაუბრება „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი **ალეკო შალამბერიძე:**

**— ბატონო ალეკო, წინასაარჩევნოდ ამომრჩევლებს ხვდებით, როგორი განწყობაა, რა პრეტენზიები აქვთ ხელისუფლებასთან, რას ამბობენ, აპირებს მოსახლეობა არჩევნებზე მისვლას?**

– ვაკეში ვიყრი კენჭს და იქ ვცხოვრობ მთელი ცხოვრება, გაოგნებული ვარ, ასეთი დაცემული ვაკე ჯერ არ მახსოვს. ასეთი შეძლებული და ინტელექტუალური პოტენციის მქონე უბანი რომ დაეცემა, რა დღეში იქნება მთელი საქართველო... რაც შეეხება ხალხის განწყობას, სამართლიანობის აღდგენა მათთვის პრიორიტეტია. ადამიანებს ღირსების გრძნობა ძალიან განვითარებული აქვთ და ამიტომაცაა მათთვის სამართლიანობის აღდგენა უპირველესი. ისინი ხედავენ, რომ ქონება დაუბრუნდა ივანიშვილს, თამაზაშვილი გამართლდა და ამით ამოიწურა ლიმიტი. დანარჩენი ადამიანები არიან ისევ იმ მდგომარეობაში, როგორშიც იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს, არც ქონება დაბრუნებულა და არც საქმეები გამოძიებულა. გირგვლიანის სასამართლოზე გახლდით. რამდენი წელია, ეს საქმე გაიწელა, მით უმეტეს, რომ არსებობს ჰააგის სასამართლოს დასკვნა, არ არის დასრულებული ვაზაგაშვილისა და რობაქიძის საქმეების გამოძიებაც. გასაგებია, რომ ამას სააკაშვილის ხელისუფლება არ გამოიძიებდა, რადგან ის იყო მონაწილე ამ საქმეში, მაგრამ დღეს, როცა ხელისუფლება შეიცვალა და არ აკეთებს არაფერს, ამას ადამიანები უყურებენ უნდობლად. ცემის ფაქტები, როგორიც იყო კოდუასთან და ჭიაბერაშვილთან დაკავშირებით, შემთხვევითი ხომ არ იყო? ხალხმა რომ დაინახა, რომ სახელმწიფო არ ასრულებს თავის მთავარ დაპირებას, სამართლიანობის აღდგენას, ამიტომ მიმდინარეობს ასეთი ცემა-ტყეპით სამართლიანობის აღდგენა.

არის კიდევ ერთი მთავარი საკითხი, რომლის ნათელი დადასტურებაც არის ოზურგეთში პრემიერ-მინისტრის გამოსვლა. ამით ღარიბაშვილმა დაამტკიცა, რომ ის აპირებს „ნაციონალური მოძრაობის“ გზით სიარულს.

**— რას გულისხმობთ?**

– მან თქვა, რომ არ დაუშვებს ოპოზიციის გამარჯვებას რომელიმე მუნიციპალიტეტში, რომელიმე ქალაქში. ეს სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ 25-ვე მაჟორიტარული ოლქი, რომელიც თბილისშია, უნდა აიღოს „ოცნებამ“, ხოლო დანარჩენი მუნიციპალური ოლქებიც უნდა აიღოს „ოცნებამ“, რომელიც არის პირდაპირი დასაწყისი ერთპარტიული დიქტატურისა. ჩვენ ეს უკვე გამოვიარეთ და ვიცით, რა რეჟიმშიც ვცხოვრობდით. მოსახლეობასთან შეხვედრის დროს, ვატყობ, როგორ არიან პოლიტიკურად გაზრდილები. მათ ნახეს, რაც სააკაშვილმა გააკეთა, როგორ მოატყუა და იძალადა მათზე. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ამომრჩევლის ნიჰილისტური დამოკიდებულება მე მიშლის ხელს, რომ ხალხს ვთხოვო, მოვანდომო არჩევნებზე მოსვლა. რომ ვპირდებით, მათ კარგად იციან, რომ მხოლოდ არჩევნებზე კი არა, სულ მათთან ვარ, მაგრამ მაინც უჭირთ დაჯერება, რომ პირობები შესრულდება. იქნება ეს ბინათმოსარგებლეობა, სამარშრუტო ტაქსების თემა, თუ იპოთეკით დაზარალებულები, ჩვენ სულ მათ გვერდით ვიყავით, მაგრამ მაინც უჭირთ დაპირებების დაჯერება, რწმენა აქვთ დაკარგული. ეს ერთგვარი ინერციაა, ძალიან შეზღუდულია საეთერო დრო ოპოზიციისთვის, რაც ასევე მოქმედებს. ინფორმაციის მიტანა მოსახლეობამდე ძნელია. „ქართული ოცნება“ იკავებს ეთერებს, „ნაციონალური მოძრაობა“, ბურჯანაძე და სხვები ჩრდილში ექცევიან.

**— წელიწად-ნახევარში დაგვანახა „ოცნებამ“, რომ დაპირებებს ვერ ასრულებს, ვერანაირი სიკეთე ვერ იგრძნო მოსახლეობამ საკუთარ თავზე და რატომ არის „ოცნება“ ასე დარწმუნებული, რომ არჩევნებში ისევ ენდობა მას ხალხი?**

– როცა ამომრჩევლები მოდიან შეხვედრებზე, საოცრად აქტიურები არიან პოლიტიკურად. ხალხს ესმის, რას ნიშნავს ამ არჩევნებში დიქტატურის გამარჯვება, მაგრამ ბევრ ადამიანს ჯერ კიდევ აქვს ერთგვარი შიში „ნაციონალური მოძრაობისა“, რომელსაც „ქართული ოცნება“ ძირითად ოპონენტად თვლის და ურჩევნია, კრიმინალური ორგანიზაცია იყოს ოპონენტი, ვიდრე ისეთი ძალა, რომელიც პოლიტიკურად არაა გასვრილი და ვერ ეტყვის, შენ ის არ იყავი, ცოცხებს რომ უკეთებდი ხალხსო? ეს მომენტი, რომელსაც ხელისუფლება აღვივებს, ხალხს აშინებს, არ დაბრუნდეს „ნაციონალური მოძრაობაო“.

**— დაბრუნდეს რა, როდის წავიდა „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებიდან, რამე სასიკეთო ცვლილებას გრძნობს ვინმე?**

– გეთანხმებით, რომ ხალხში სწორედ ეს განცდაა. ერთი მხრივ, პორტირებაც მოხდა, წმენდა ამ კუთხითაც არ განხორციელებულა. ნაციონალებს პოლიტიკური მიმართულება მაინც ჰქონდათ, ამათ ეგეც არ აქვთ. არიან სრული უვიცები.

**— აუცილებლად უნდა გკითხოთ. კი მაგრამ, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი წლების მანძილზე თქვენთან ერთად იბრძოდა ოპოზიციაში, მეტიც, ერთ პარტიაშიც და კოალიციაშიც იყავით, მაშინ არ იყვნენ უვიცები? რა გამოდის, ოპოზიციაში ყოფნისასაც ატყუებდნენ საზოგადოებას?**

– გავიმეორებ ბანალურ სიტყვებს, რომ ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება კი რყვნის აბსოლუტურად. აქ მთავარი მომენტი ისაა, რომ მათ მიერ არ არის ის სკამები მოპოვებული, რომელზეც ახლა სხედან. ეს სკამები ბიძინა ივანიშვილის მეშვეობით მოიპოვეს.

**— ასეა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ხომ თავისი აქტიურობით იმსახურებდა კიდეც ამ სკამს?**

– ესეც მართალია, მაგრამ ბრძოლით ვერ მოახერხეს სკამის მოპოვება, ივანიშვილის დამსახურებით ინარჩუნებენ კიდეც ამ თანამდებობებს და სულ შიშით არიან, ე მანდ, რამე არ ვაწყენინო იმ კაცსო. ნახეთ, რა დაემართა მარგველაშვილს, ივანიშვილის წინააღმდეგ რომ წავიდა, როგორ დაისაჯა? ამის შიში სხვებსაც აქვთ. მარგველაშვილი იყო საჩვენებელი სხვებისთვის, ვინც ბიძინას ეურჩება, რა დაემართება. არავის არ უნდა, ივანიშვილის რისხვის დამსახურება.

**— გულწრფელად მითხარით, ღირს არჩევნებში ბრძოლა ასეთ მონოპოლიზებულ გარემოში?**

– ჩვენ ვართ გუნდი, რომლის კეთილსინდისიერებაში ყველა დარწმუნებულია. რომლის დაპირება აჯობებს, უგულავასი? ეგ არ იყო მერი, თუ ტარიფების დაწევა შეეძლო, რომ არ გააკეთა? მე რომ ვსაუბრობდი ამ თემაზე, დამცინოდა, მაშაყირებდა, 22-ე საუკუნის ადამიანი ხარ და 21-ე საუკუნეა ახლაო. მათ ხელში არ იყო აქციზის გაუქმება? ახლა გაახსენდათ? „თბილისის ამუშავება“ არის ბლეფი, ისევე, როგორც სხვა დაპირებები. ეს ოლიმპიადა არაა, არჩევნებია, ამიტომ მონაწილეობა აუცილებელია. საბრძოლო გუნდი შემართებითაა, მიუხედავად ფინანსური გარანტიების არარსებობისა.

**ჟანა ასანიძე**
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სტიქიამ დუშეთის რაიონი დააზარალა



ძლიერმა წვიმამ და ქარიშხალმა ბულაჩაურში რამდენიმე სახლს სახურავი მოხადა. სტიქიის შედეგად დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები, რის გამოც ანანურისა და გრემისხევის რამდენიმე სოფელს, ასევე, სოფელ ბულაჩაურს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. უხვმა ნალექმა პრობლემები შექმნა ასევე ცენტრალურ მაგისტრალზეც. ადგილზე გვიანობამდე მიმდინარეობდა გაწმენდითი სამუშაოები. ამ დროისთვის მაგისტრალზე მოძრაობა აღდგენილია. (ნიუპოსტი)

## გორის მუნიციპალიტეტის 25-მდე სოფელი მოსავლის გარეშე დარჩა

დაზარალებულ სოფლებში ასეთი ძლიერი სეტყვა ბოლო 20 წელია, არ ახსოვთ. თორტიზა, ხელთუბანი, სვენეთი, ბერბუკი, აძვი, რეხა, კირბალი... ეს არასრული ჩამონათვალია იმ სოფლებისა, სადაც უხვმა ნალექმა და ძლიერმა სეტყვამ მოსავალი თითქმის ასი პროცენტით გაანადგურა. განადგურებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ვაშლისა და ხეხილის ბაღები. დაზარალებულები ეჭვობენ, რომ მოსავალი არც მომავალ წელს არ ექნებათ.

„მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, მობილურად ჩამოყალიბდა კომისია, რომელიც დაითვლის აღნიშნულ ზარალს. ასევე, მოხდა ადამიანური რესურსების ძალის მობილიზება სხვადასხვა მეზობელი რეგიონებიდან, ვინაიდან იმდენად მასშტაბურია ზარალი, რომ არსებული კადრებით შეუძლებელი იყო ამის შეფასება. ალბათ, რამდენიმე კვირა დაგვჭირდება, რომ მივიღოთ სრული სურათი, შესაბამისად, რა ზომები გატარდეს აღნიშნული ზარალის დარეგულირებასთან დაკავშირებით“, – აცხადებს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ოთარ დანელია. (ნიუპოსტი)

## პლანტაციებში მუშაობა რატომ არის სამარცხვინო?




საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი პლანტაციებში მუშაობას სამარცხვინოდ არ მიიჩნევს და აცხადებს, რომ ასეთი სამსახური სულაც არ ჩამოუვარდება პრეზიდენტის სამუშაოს.

„მე არ მომისმენია, რომ მიშა უნდა ვამუშაოთ პლანტაციებში და ისე, პლანტაციებში მუშაობა არ არის არც სამარცხვინო, არც მონათმფლობელობას არ უკავშირდება. სამხრეთ ამერიკაში დღესაც არის ყავის პლანტაციები, სადაც ხალხი მუშაობს და რატომ არის ეს სამარცხვინო ფრაზა, ნამდვილად არ მესმის. ეს არის ძალიან ნორმალური სამუშაო, ზუსტად ისეთი, როგორიც არის პრეზიდენტის სამუშაო“, – აღნიშნა ხიდაშელმა „რეპორტიორის“ პრესკლუბში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გურიაში გამართული შეხვედრის დროს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე იხუმრა: „მიშა უნდა მოვიყვანოთ და ვამუშაოთ პლანტაციებში... ეგენი, ნაციონალები დავაგროვოთ და ვამუშაოთ... კარგი იდეაა, გამასწორებელი სამუშაოები, მაგათ მოუხდებათ“, რასაც „ნაციონალებმა“ შეურაცხმყოფელი უწოდეს. (რეპორტიორი)

## „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ და „ლეიბორისტები“ ერთიან კანდიდატებზე შეთანხმდებიან




„არასაპარლამენტო ოპოზიცია“ და „ლეიბორისტული პარტია“ მთელი საქართველოს მასშტაბით, ძირითად ოლქებში საერთო კანდიდატებზე შეთანხმებას აპირებენ. პარტიის ლიდერებს შორის გამართული შეხვედრის შემდეგ, საგანგებო განცხადება გავრცელდა:

„ქართულმა ოცნებამ“, თავის სატელიტებთან ერთად, გადაწყვიტა არჩევნების გაყალბება. ამაზე ღიად და დაუფარავად საუბრობენ თავად ხელისუფლების ლიდერები, რომ არ დაუშვებენ არც ერთ ოლქში სხვა პოლიტიკური ძალის გამარჯვებას. „ქართული ოცნება“ მთელ ადმინისტრაციულ და კოლოსალურ ფინანსურ რესურსს ახმარს მისი და მისი სატელიტების საარჩევნო კამპანიას. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ და „ლეიბორისტული პარტია“ ვთანხმდებით, რომ აუცილებელია ჯანსაღი ოპოზიციური ძალების კოორდინირებული მოქმედება, რათა ერთობლივი ძალისხმევით მოვახერხოთ არსებული სისტემის შეცვლა.

ვთანხმდებით, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით, ძირითად ოლქებში დავიწყებთ შეთანხმებას საერთო კანდიდატებზე, რათა გამოვრიცხოთ ჩვენს გაერთიანებებს შორის ხმათა გაყოფა.

მოვუწოდებთ ყველა ჯანსაღ ოპოზიციურ ძალას კოორდინირებული მოქმედებებისკენ, რადგან ოპოზიციის დაქსაქსულობა წყალს ასხამს „ქართული ოცნებისა“ და მისი სატელიტების წისქვილზე“, – ნათქვამია განცხადებაში. (რეპორტიორი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# სად არის სატანისტური სიმბოლოები თბილისში?



**„ალიას“ გლდანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა ბასილი მკალავიშვილი ესაუბრა:**

**— მამა ბასილი, სულიერი პრობლემები რომ გვაქვს, ამაზე ადრეც ისაუბრეთ, მაგრამ სატანური სიმბოლოები ყოფილა მრავლად თბილისში და ესაც ხომ არ ახდენს რაიმე გავლენას ადამიანების განწყობაზე?**

– მე, როგორც სასულიერო პირს, გული მტკივა და შეძრწუნებული ვარ იმ ყოფიერებითა და განუკითხაობით, რომლის ეპიცენტრშიც ვიმყოფებით ამჟამად. უფლის მეორედ მოსვლის გარიჟრაჟზე, ნაცვლად იმისა, რომ განწმენდილნი ვეგებებოდეთ, პირიქით, სოდომ-გომორის მორევისკენ მივექანებით, ყოველდღიურად უფრო ვშორდებით ღმერთს. ჩემო კარგო, ეს გადმონაშთია მსოფლიო მასონიზმისა, ის ბნელ ძალთა ოქმების ნაწილია, რომელსაც გარკვეულწილად ხორცი შეასხა კომუნისტურმა რეჟიმმა, ეს მათი დანერგილი მავნე ტრადიციაა, რომელსაც დღესაც აგრძელებენ ვაიქართველები.

მართლაც, შემაძრწუნებელია, რასაც ვხვდებით თბილისის ქუჩებში. იგონებენ სხვადასხვა სატანურ გამოსახულებებს, მისი შემხედვარე ადამიანი საგონებელში ვარდები, ვერ გაგირკვევია, რა აქვს ჩადებული შემქმნელ ავტორს, თუნდ ის, რაც თავად ნახეთ, წრეში ჩასმული ადამიანი ღამურას ფრთებით, მე ვერ გეტყვით, რომელი ფანტაზიით შექმნა „ავტორმა“, მაგრამ ფაქტია, რომ ის მკრეხელური და სატანურია (ეს ბარელიეფი დიღმისკენ მიმავალ გზაზე, მარცხენა მხარეს, ყოფილი ტექნიკუმის შენობაზეა და ადვილად შეამჩნევთ. მის შესახებ რამდენიმე წლის წინათ „კვირის ქრონიკასთან“ ერთ-ერთმა მეცნიერმა ისაუბრა. – რედ.). ყველამ უწყით, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ამოსასვლელ ხიდთან იყო ზევსის ქანდაკება, საბედნიეროდ, აუღიათ. მცხეთის შესასვლელში, არმისული სვეტიცხოველთან ასევე ზევსის ქანდაკება, პარლამენტის შენობის ბარელიეფზე გამოსახული და სხვა მრავალ ადგილებში. ყოველივე ეს არამართლმადიდებლური და მიუღებელია. ძველი თაობა არ მივიღებთ მსგავსს, მაგრამ ახალგაზრდობის უმრავლესობა, შეიძლება ცოტა უხეშად გამომივიდეს, უწიგნურია, იქედან გამომდინარე, რომ 24 საათი კომპიუტერებს მისჩერებიან, სადაც ყოველგვარ უმსგავსოებას ხედავენ. სწორედ ამას წინასწარმეტყველებდნენ წმიდა მამები, ტელევიზორს ეშმაკის ყუთს უწოდებდნენ, ასეთ რაღაცებს აჩვევენ ახალგაზრდობას ყველანაირ არატრადიცულს, აზომბირებენ მათ გონებას, რათა მათი ყურადღება გადართონ გლობალიზაციისკენ, აქეთ დაგვიწყონ რწმუნება, ის ძველი დრო იყო და ახლა ცივილიზაციის პროცესში ვიმყოფებითო.

არის მაღაზიები, სხვადასხვა სასადილოები და სავაჭრო ცენტრები, რომელთაც აწერიათ „სამება“ და სხვადასხვა წმინდანთა სახელები, რაც ყოვლად დაუშვებელია. მე, სანამ დამაპატიმრებდნენ, ბევრს მოვახსნევინე ასეთი დასახელება, მაგრამ ახლა სრული განუკითხაობაა, ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს. თავისუფლების მოედანზე აღმართეს უდიდესი მოწამის წმინდა გიორგის ქანდაკება, რაც, სჯულის კანონის თანახმად, აკრძალულია. ჩვენ გვაქვს წმინდანთა ხატები და მათ უნდა ვცეთ თაყვანი და ვევედროთ.

**— ხელისუფლება რას აკეთებს?**

– ფაქტობრივი ხელისუფლება არაფერზე ზრუნავს, ისინი ევროინტეგრაციის ფერხულში არიან ჩაბმულნი, მხოლოდ გრანტების მოზიდვაზე ფიქრობენ, არა ხალხის ინტერესებისთვის, არამედ პირადი უზრუნველყოფისთვის.

მთელი მსოფლიოს სიბილწე თავს მოგვახვიეს, გასული საუკუნის განმავლობაში, ვაი-ვაგლახით, ტანჯვაწამებით მოვაბიჯებდით, მაგრამ ასეთი მტრობა, რაც დღეს ჩაიდინეს ხელისუფლების მესვეურებმა, საქართველოს ისტორიას არ ახსოვს, ისევ ურცხვად აცხადებენ, საშიში არაფერიაო, ვერ აცნობიერებენ იმას, რომ პირდაპირ გვთხოვენ: ევროკავშირში მიგვიღებენ იმ პირობით, თუ მამათმავლები გავხდებითო. ქართველი კაცი ოდითგანვე შეუბრალებელი იყო უზნეობის მიმართ. მაპატიეთ, თუ ვინმე დედას შეაგინებდა, ამას როგორ აპატიებდა. ის, რასაც ესენი გვიმზადებენ, ქართველთა სულის წაბილწვაა. ვისაც ისევ ქართული სისხლი უდუღს ძარღვებში, არ დავიწყებია წინაპართა ღირსება, ის მიიღებს უსუფაშვილების, ხიდაშელების, ბოკერიების, ბერძენიშვილებისა და იმ 104 პარლამენტარის შემოთავაზებას?

იუსტიციის მინისტრი ქალბატონი წულუკიანი, სამშობლოსა და სარწმუნოების ღალატისთვის პრემიებს იღებს 50 000 ლარამდე, ასევე „პატრიოტი“ პარლამენტარებიც. ამ დროს მეორე მხარეს საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც ესენი ხელისუფლებაში მოიყვანა, ზოგი უმუშევარია და ბუნკერებში იქექება, პენსიონერები კი საცოდავ 150 ლარს შესცქერიან მთელი თვის განმავლობაში, მათ კი ათასები არ ჰყოფნით.

> **„თუნდ ის, რაც თავად ნახეთ, წრეში ჩასმული ადამიანი ღამურას ფრთებით, მე ვერ გეტყვით, რომელი ფანტაზიით შექმნა „ავტორმა“, მაგრამ ფაქტია, რომ ის მკრეხელური და სატანურია“**



*გაგრძელება მეათე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რეგიონული სამინისტრო სალიკვიდაციო სამუშაოებს ატარებს



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო გორსა და დუშეთში მოსული სეტყვის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში აქტიურად არის ჩართული. სამინისტროს წარმომადგენლები სტიქიის ადგილებზე არსებულ ვითარებას უკვე სწავლობენ. სამინისტრო, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად, სტიქიის შედეგად შექმნილი პრობლემის დროულად აღმოსაფხვრელად ყველაფერს გააკეთებს. (ნიუპოსტი)

## ნიკო ნერგაძემ თანამდებობა დატოვა



პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნიკო ნერგაძემ თანამდებობა დატოვა. მისი თქმით, მან საჯარო სამსახურში ერთ წელზე მეტი იმუშავა, რაც მისთვის საკმარისია და ახლა ძველ საქმიანობას, ჟურნალისტობას უბრუნდება. ნერგაძის თქმით, ის მუშაობას რადიო „თავისუფლებაში“ გააგრძელებს. ნერგაძემ პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტიდან წასვლაზე განცხადება 30 მაისს დაწერა. (ნიუპოსტი)

## აფხაზეთის ე.წ. პრემიერ-მინისტრმა თანამდებობა დატოვა

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ვალერი ბგანბას განცხადებით, ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ე.წ. ფინანსთა მინისტრი ვლადიმერ დელბა შეასრულებს და ის ამავდროულად ე.წ. ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზეც დარჩება.

მისივე თქმით, შესაბამისი ბრძანების თანახმად, რომელსაც ხელი უახლოეს პერიოდში მოეწერება, „მინისტრთა კაბინეტის“ დანარჩენი წევრები მოვალეობის შემსრულებლებად დარჩებიან. (ნიუპოსტი)

## შვეიცარიის პრეზიდენტი ჩამოდის



3 ივნისს საქართველოსა და შვეიცარიის პრეზიდენტები ერთმანეთს პირისპირ და გაფართოებული შემადგენლობით შეხვდებიან, რის შემდეგაც ორი ქვეყნის ლიდერები ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ. ბურკჰალტერი ასევე შეხვდება საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძეს. მხარეები ორმხრივ დოკუმენტებს გააფორმებენ. შვეიცარიის პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან ზურაბ აბაშიძესთანაც გამართავს შეხვედრას და მრგვალი მაგიდა სამოქალაქო საზოგადოებისა და ეუთო-ს ახალგაზრდული ქსელის წარმომადგენლებსაც შეხვდება.

ბურკჰალტერი საქართველოდან 3 ივნისსვე გაემგზავრება. (ნიუპოსტი)

## ნაძალადევში ქმარმა ცოლი მოკლა




სამართალდამცველებმა 1967 წელს დაბადებული, წარსულში მკვლელობის მცდელობისთვის ნასამართლევი ჯიმშერ ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. შსს-ს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ჯიმშერ ა-მ მიმდინარე წლის 1-ელ ივნისს, ღამით, თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ურთიერთშელაპარაკებისას, მეუღლეს – 1967 წელს დაბადებულ ლუდა გ-ს ცივი იარაღით გულ-მკერდის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის მიყენებული მძიმე ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან მეორე დღეს ხარაგაულის რაიონში დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. (ნიუპოსტი)

## დათა ახალაიამ საბერძნეთის საპატიმრო დატოვა



კუდ-ის ყოფილი უფროსი დათა ახალაია თავისუფალია. „დათა ახალაია ციხიდან გამოვიდა, თუმცა არ მაქვს ინფორმაცია, სად იმყოფება ამჟამად. მას საკუთარი ცხოვრება აქვს. თუმცა ის ვიცი, რომ ციხე დღეს დატოვა“, – განაცხადა ახალაიას ადვოკატმა ალექსანდროს პაპასტეროპოლუსმა.

ახალაიას ოჯახმა 100 ათასი ევრო გადაიხადა, რის შემდეგაც კუდ-ის ყოფილმა უფროსმა საპატიმრო დატოვა. რაც შეეხება მისი ექსტრადირების საქმეს, საბერძნეთის სასამართლო აღნიშნულ საკითხზე ორ თვეში იმსჯელებს. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

მათ დაცინვას საზღვარი არ უნდა ჰქონდეს? როდემდე?

**— მამაო, ახლა ლუსტრაციის კანონზე დაიწყეს საუბარი. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებას ამ თემის წამოწევა რაში დასჭირდა?**

– დღევანდელმა მთავრობამ ისეთ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი, რომ სააკაშვილსაც კი გადააჭარბა. ის ტენდენცია, რომ საბჭოთა კავშირის დროინდელ თანამდებობის პირებს დღეს საპასუხისმგებლო ადგილებზე არ იღებენ, არ არის გასაკვირი, იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ ერთი (არ იფიქრო, მათ ვამართლებდე, კარგი მხარეც უნდა დაინახო), კომუნისტები მართლაც ებრძოდნენ სარწმუნოებას, მაგრამ ის, ვისაც სწამდა და ლოცულობდა, მათი ბატონობის დროსაც ახერხებდა ღვთისმსახურებას. სიმართლე ვთქვათ, ისინი უზნეო ხალხს დაუნდობლად ებრძოდნენ, მაგათ დროსაც იყვნენ განსხვავებული პიროვნებები, მაგრამ კარსმილმა, დაფარულად და არა პროპაგანდისტებად. კომუნისტური მენტალიტეტი ყოვლად მიუღებელია ამერიკისთვის. ჩვენს თაობას ახსოვს, კომუნისტები როგორ მკაცრად და ხარისხიანად ასრულებდნენ ყოველივეს. მერწმუნეთ, კომუნისტებზე უარესი დღე დაადგებათ ამათ, ვინაიდან ესენი უფრო აგრესიული მტრები აღმოჩნდნენ მართლმადიდებლობისა, ვიდრე ისინი, რამეთუ ისეთ ამაზრზენ კანონებს იღებენ, რომელიც აცამტვერებს ყოველივე ეროვნულს, სარწმუნოებრივს.



**„თავისუფლების მოედანზე აღმართეს უდიდესი მოწამის, წმინდა გიორგის ქანდაკება, რაც, სჯულის კანონის თანახმად, აკრძალულია. ჩვენ გვაქვს წმინდანთა ხატები და მათ უნდა ვცეთ თაყვანი და ვევედროთ“**

**— ამ დღეებში სპორტის სასახლეში „ორმოცდაათიანელები“ ატარებენ ღონისძიებას და როგორც გვითხრეს, ძალიან მალე სხვადასხვა სექტები აპირებენ გააქტიურებას. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

– მოგახსენებთ, მსოფლიოში რაც სექტები არსებობს, ყველა საქართველოშია დაბუდებული. იეღოველთა სექტა, რომელიც აგენტურული საქმიანობისთვის იქნა შემოგზავნილი, სწორედ მათ განუმზადეს გზა სულის წარმწყმედელ სხვა სექტებს. მე მაშინვე ავტეხე განგაში, მაგრამ სავალალოდ, არავინ მისმინა, პირიქით, საპატრიარქოს მშვენივრად ეძინა და თვლემდა, დღესაც თვლემს, იმიტომაც ვართ ამ დღეში. რომელი ერთი სექტა ჩამოგითვალოთ, თითქმის ყველა ერთსულოვნად დაუძინებელი მტერია მართლმადიდებლობის, მე ზოგადად რამდენიმეს შევეხები:

„ორმოცდაათიანელები“, რომელიც თქვენ ახსენეთ, მათ ღმერთი სულიწმინდამდე დაჰყავთ, მათი მოძღვრებით სულიწმინდა ჩასახლდება ნებისმიერ ადამიანში, 50-იანელების მთავარი დღესასწაულია „გლოსოლალია“, ანუ მას სხვადასხვა ენაზე ლაპარაკი ჰქვია. ვითომ მოციქულები არიან და თავისებურად ქადაგებენ.

ე.წ „ხსნის არმია“. მათ სწავლებას არანაირი საერთო არა აქვს ქრისტიანულ სწავლა-მოძღვრებასთან. ჯვრით იტყუებენ ხალხს და იბირებენ სხვადასხვა დაპირებებით, არ ცნობენ სხვადასხვა საეკლესიო საიდუმლოებებს, სამღვდელო იერარქიას, ღვთისმსახურებას უარყოფენ, ხატებს თაყვანს არ სცემენ, მათთვის არ არსებობს სამოციქულო მემკვიდრეობა.

მუნისტები. მისი დამფუძნებელია ვინმე სონმოუინე მუნი, მუნსა და მის მეუღლეს „მამასა და დედას ეძახიან“. ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების მსურველებმა ფული უნდა გადაიხადონ მუნის ეკლესიაში. მუნი ქრისტიანობის წინააღმდეგია, ის ამბობდა, რომ მისი წარმომადგენლები ქრისტიანებსაც გასრესდნენ, შემდეგ უფალს დედამიწაზე გამოიხმობდნენ და მათი იქნებოდა მთელი მსოფლიო. ამ სექტამ საქართველოში სცადა სკოლებში შეღწევა და მათი სწავლების დამკვიდრება, მაგრამ ღვთის წყალობით ვერ მოახერხეს.

**— „ემოები“ მომრავლდნენო, არაერთხელ მსმენია, ეს რა არის?**

– „ემოები“, ეს მეტად აგრესიული სექტაა, იქ ძირითადად ახალგაზრდები არიან გაერთიანებული და იყოფიან მეტად და ნაკლებად აგრესიულებად. მეტად აგრესიულები ძირითადად სასაფლაოებზე ღამით დადიან. აჰყავთ კატები და ატყავებენ. ეს არის ეგზალტირებული მასის ერთობა, რომლებიც სრულიად თავისუფლები არიან თავიანთ ქმედებებში, რაც მოესურვებათ, იმას აკეთებენ. სხვა სექტების ჩამოთვლას თუ გავაგრძელებთ, ძალიან შორს წაგვიყვანს, მთავარია, ასეთი მტრების გარემოცვაში გვიხდება ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვა.



**„იუსტიციის მინისტრი ქალბატონი წულუკიანი, სამშობლოსა და სარწმუნოების ღალატისთვის პრემიებს იღებს 50 000 ლარამდე, ასევე „პატრიოტი“ პარლამენტარებიც. ამ დროს მეორე მხარეს საზოგადოების ის ნაწილი, რომელთაც მოიყვანეს ესენი ხელისუფლებაში, ზოგი უმუშევარია და ბუნკერებში იქექება“**

ჩვენი ქვეყანა კრიტიკულ მდგომარეობაშია, აქ დასამალი არაფერია, ჩვენი თავი ჩვენვე არ გვეყუდვნის, არაფერი გაგვაჩნია, ერი გადაგვარებას, ასიმილაციას განიცდის. მაშინ არ მისმენდით, ახლა მოგიწოდებთ, თუ ასე გაგრძელდა, საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდებით, უკვე სოდომ-გომორის ცოდვაში ვიმყოფებით, ეკლესიას აქამდე ვერ გაურკვევია თავისი ფუნქციები, ნუ ვიქნებით, ცალკეულ პიროვნებათა განმადიდებლები, თაყვანი ვცეთ მხოლოდ ღმერთს, სამშობლოს, მართლმადიდებლობას, ზვარაკად შეწირულთა ხსოვნა-მოგონებას, მათ ღვაწლს, რომელთა ლოცვით ვარსებობთ დღემდე, მხოლოდ ისინი გვაძლიერებენ სამშობლოს სიყვარულში, ისინი არიან მეოხნი უფლისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წინაშე, რათა მოგვცენ მადლი, ძალა, გავუმკლავდეთ დღევანდელ აუტანელ ყოფიერებას, მოგვმადლონ გამძლეობა, დავიცვათ მართლმადიდებლობა, ამოსავალი ყოველგვარი განსაცდელისგან, გადარჩენა მხოლოდ ღმერთშია და სარწმუნოებაში. ღმერთმა დაგლოცოთ!

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რაც აფხაზეთში ხდება, საგანგაშო არ არის?



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი სოხუმში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება.

„საგანგაშო მდგომარეობა იმაში მდგომარეობს, რომ აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია გრძელდება. ოკუპაცია ზუსტად იმის ოკუპაციაა, რომ ოკუპანტი და ადგილობრივი პოლიტიკური რეჟიმი მოქმედებს სრულიად სხვა პრიორიტეტებისა და სხვა მიზნების შესაბამისად, ვიდრე ეს არის ქვეყნის სტრატეგია და ქვეყნის ინტერესი. ამიტომ ბოლო ხანებში განვითარებული მოვლენები საყურადღებოა. ჯერჯერობით, საგანგაშოს მას ვერ დავარქმევ, მაგრამ უკიდურესად საყურადღებოა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მშვიდობა რეგიონში. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს და ექსპერტებიც საუბრობენ იმის შესახებ, რომ ასოცირების ხელშეკრულების პროცესში შესაძლოა, იყოს გარკვეული გართულებები.

დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო საზოგადოების მცდელობით, ჩვენი სწორი პოლიტიკით, შევძლებთ იმას, რომ რაიმე სერიოზული პრობლემები ქვეყანას აღარ დაემატოს“, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

მისივე განცხადებით, „ის, რაც ამ დღეებში აფხაზეთში ხდება, არის ოკუპაციის გამო და ოკუპაციის მიზეზებით საქართველოს ამ ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის პრაქტიკულად უპრეცედენტო და უკონტროლო გავლენით. ასე რომ, უნდა ვიყოთ მშვიდად, მაგრამ ფხიზლად“. (ნიუპოსტი)

## მერკელმა, — მაპ-ს ვერ მიიღებთო

გერმანიის კანცლერი, ანგელა მერკელი იმედოვნებს, რომ საქართველო რუსეთთან ურთიერთობის დალაგებითაც არის დაკავებული:



„ეს არის ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტი გერმანიაში. ძალიან მიხარია, რომ შემიძლია მას აქ მივესალმო. ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრეთ საქართველო-გერმანიის ორმხრივ ურთიერთობაზე. ჩვენ კარგი ორმხრივი ურთიერთობა გვაქვს. ძალიან გვიხარია, რომ საქართველო დაადგა ევროკავშირთან მიახლოების გზას, რაც გამოიხატება ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერაში. მეორე მხრივ, ვხედავთ, რომ საქართველო დაინტერესებულია, ნაბიჯ-ნაბიჯ განავითაროს ურთიერთობა რუსეთთან – ჩვენ ამ მაგალითზეც ვხედავთ, რომ საქართველო ორივე მიმართულებით მუშაობს. ბატონი პრემიერი დაესწრება ეკონომიკურ ფორუმს, რომელსაც ჩვენი მხარდაჭერა აქვს, რათა განვითარდეს პარტნიორობა და ინვესტიციები საქართველოში. ამისთვის თქვენი ქვეყანა კარგ პირობებს ქმნის, თუმცა უკანასკნელ წლებში გარკვეული არასტაბილურობის შთაბეჭდილება იქმნებოდა ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემების გამო. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს დღევანდელი მთავრობა ნათლად ასრულებს ყველანაირ საკანონმდებლო ჩარჩო პირობას და ეს ხელს შეუწყობს მომავალ თანამშრომლობას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველო, როგორც კარგი საინვესტიციო პარტნიორი, გახდეს უფრო ცნობილი“, – განაცხადა გერმანიის კანცლერმა, რომელიც მაპ-ის საკითხსაც შეეხო:

მე ვფიქრობ, რომ მაპ-ის საკითხი ნატო-ს შემდეგი სამიტის თემა არ იქნება, მაგრამ ჩვენ ვხედავთ იმ პროგრესს, რაც არის საქართველოში. ჩვენ ვხედავთ საქართველოს ძალისხმევას, მაგალითად, ავღანეთში. ნატო-ს შემდგომი სამიტისთვის ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, როგორ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ საქართველო არის კარგი პარტნიორი და მე ვფიქრობ, რომ მაპ-ის გარდა, სხვა შესაძლებლობებიც არსებობს ამის გამოსახატად“, – აღნიშნა მერკელმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ოპოზიცია ნეპოტიზმისა და კორუფციის ფაქტებს ასაჯაროებს



„ნაციონალური მოძრაობა“ სენაკის მუნიციპალიტეტში არსებულ ნეპოტიზმსა და კორუფციის ფაქტებზე საუბრობს და კონკრეტულ ფაქტებს ასაჯაროებს.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, საქმე ეხება „ქართული ოცნების“ სენაკის მუნიციპალიტეტის საარჩევნო შტაბის უფროსის, დემურ გადელიას ბიზნესინტერესებს:

„ბატონი დემური, პოლიტიკური აქტივობის პარალელურად, გახლავთ სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 239862038) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და მისი ფაქტობრივი მფლობელი. გარდა ამისა, მან თავის ძმისშვილ იოსებ გადელიას დააფუძნებინა შპს „ინდიკო“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 239862298) და მასთან ერთად ოჯახურ ტანდემში იმარჯვებს გზის საფარის დაგების თითქმის ყველა ტენდერში, რომელიც დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტის მიერ არის გამოცხადებული.

2013-14 წლის წლებში ამ კომპანიებმა 14-14 ტენდერში გაიმარჯვეს და „არქეოპოლისმა“ მიიღო, საერთო ჯამში, 12 730 684 ლარი, ხოლო შპს „ინდიკომ“ – 5 384 176 ლარი. უნდა აღვნიშნოთ, რომ კომპანიები უმეტეს შემთხვევაში ან ერთადერთი მონაწილეები იყვნენ ან ერთმანეთს უწევდნენ „კონკურენციას“. იყო შემთხვევები, როდესაც მათ დაკვეთა გამარჯვებული კომპანიის დისკვალიფიკაციის გზით მიიღეს. ყოველივე ეს ცალსახად აღძრავს ეჭვს სატენდერო კომისიების მხრიდან „ქართული ოცნების“ რეგიონული ლიდერის ხელოვნურად მხარდაჭერასა და ბიძა-ძმისშვილს შორის გარიგებაზე.

ზემოაღწერილის ზუსტ მაგალითს ვხედავთ დღეს სამ მუნიციპალიტეტში, სადაც გამოცხადებულია გზის საფარის დაგების ტენდერები, კერძოდ, სენაკის მუნიციპალიტეტი 2 222 090 ლარზე, აბაშის მუნიციპალიტეტი 1 078 062 და მარტვილის მუნიციპალიტეტი 240 000 ლარზე. სენაკსა და მარტვილში საარჩევნო შტაბის უფროსის კომპანია ერთადერთი მონაწილეა, ხოლო აბაშაში მას „კონკურენციას“ უწევს საკუთარი ძმისშვილი. გამომდინარე გამოცდილებიდან, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ დემურ გადელია თავისი ფირმის ბიუჯეტს კიდევ 3,5 მილიონი ლარით შეავსებს.

ლოგიკურია, გავიხსენოთ 90-იანი წლები, როდესაც კორუფციული გარიგებების შედეგად თანხები ბიუჯეტის ნაცვლად სახელმწიფო ბიუროკრატიის, ამ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ მიერ ჩამოყალიბებული ქვეყნის მართვის ოლიგარქიულ-კორუფციული სქემის წარმომადგენელ არაუფლებამოსილი პირების ჯიბეში მიდიოდა“, – განაცხადა წიკლაურმა. (ნიუპოსტი)



„წავალ, აბა, არ წავალ? გვერდში დავუდგები და დავიცავ, რითიც შემეძლება, მაგრამ გალელებს კი არა, ყველა ქართველს დავუდგები გვერდით, ვინც დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას შეეცდება“

# თენგიზ კიტოვანი აფხაზეთში შეჭრას გეგმავსო?

## რას პასუხობს კიტოვანი „ალიას“?

თენგიზ კიტოვანის საქართველოში ჩამოსვლასა და გააქტიურებას არაერთი ვერსია მოჰყვა. თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირწმუნება, რომ სამშობლოში ნარკოტიკების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩამოვიდა, აზერბაიჯანიდან კახეთის გავლით საქართველოში გამავალი ნარკოტრასა უნდა გააკონტროლოს და ამ საქმისთვის „საქართველოს პატრიოტთა კავშირიც“ დააარსა. კიტოვანი ხელისუფლებას იარაღსაც სთხოვს, — 15 კაცი შემიიარაღეთ და კახეთის ნარკოტრასებს გადავკეტავო. სიმართლე გითხრათ, თენგიზ კიტოვანის ამ ზღაპრებისა არავის სჯერა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნარკომაფიასთან ბრძოლას თავისი სპეციფიკური წესები აქვს, სპეციალურად გაწვრთნილ-მომზადებული კონტინგენტი სჭირდება. საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ კიტოვანი რუსეთის სპეცსამსახურების გამოგზავნილია საქართველოში და კონკრეტულად რისთვის, ამასაც მალე გავიგებთო. კიტოვანი რომ რუსეთის სპეცსამსახურებთან, მათ შორის, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო თავკაცებთან და დაზვერვის („გრუ“) ხელმძღვანელობასთან ახლო კავშირში იყო, ამას თავის დროზე არც თავად უარყოფდა. აქედან გამომდინარე, საკმაოდ იოლი დასაჯერებელია, რომ კიტოვანი კვლავაც თავისი ძველი (სავარაუდოდ, ახლანდელიც) მფარველების დავალებას ასრულებს.

„ალიამ“ კულუარულად მოიპოვა ექსკლუზიური ინფორმაცია იმის შესახებ, კონკრეტულად რა მისიით არის ჩამოსული თენგიზ კიტოვანი საქართველოში. მოგეხსენებათ, აფხაზეთში ჩვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენები მიმდინარეობს. ამ დროისთვის აფხაზეთის ფაქტობრივი მმართველი ქართველთმოძულე რაულ ხაჯიმბაა, რომელიც აგვისტოში დანიშნული არჩევნების შემდეგ, უპრობლემოდ გახდება აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი. ხაჯიმბამ უკვე გაახმაურა თავისი და თავისი მომხრეების მთავარი გზავნილი: „გალიდან ქართველების განდევნა აფხაზი ხალხის დაკვეთაა და ჩვენ ამას აუცილებლად შევასრულებთო“.

სამეგრელოში ჩავლენ. მართალია, სამეგრელოში კიტოვანს დიდი სიხარულით არავინ დახვდება, რადგან ამ რეგიონის მაცხოვრებლებს ბევრი საშინელება დააწია კიტოვანმა. თუმცა, არც ის დაგვავიწყდეს, რომ სამეგრელოში კიტოვანს უეჭველად შეუერთდებიან გალიდან გამოყრილი ქართველები, რომელთაც გალში დაბრუნების სურვილი ექნებათ და კიტოვანიც მათ სწორედ ამას დაჰპირდება. გალელთაგან იარაღის ხელში ამღები და ბრძოლის მოსურნე ბევრი იქნება. ალბათ, საქართველოს მასშტაბითაც ბევრი გამოჩნდება ისეთი, ვინც პატრიოტული მოსაზრებით ჯერ თბილისში შეუერთდება კიტოვანს, ამას მისი ეროვნული გვარდიის ძველი წევრები დაამატეთ, ბევრი ქართველი პატრიოტი სამეგრელოშიც ჩავა თანამემამულეთა დასაცავად და მათი ნაწილი კიტოვანს გვერდით დაუდგება. „გრუ“-ს ამ სცენარის მიხედვით, კიტოვანისა და მის მომხრეების საქართველო-აფხაზეთის პირობით საზღვართან გადაყვანაზე აფხაზეთში დისლოცირებული სამხედრო ძალების ხელმძღვანელობა

აფხაზური მედიის ინფორმაციით, ამის გაკეთებას ხაჯიმბა აგვისტომდე, არჩევნებამდე აპირებს, რადგან გალის ქართველმა მოსახლეობამ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ველარ მიიღონ და მას გამარჯვებაში ხელი არ შეუშალონ. გალელი ქართველები ხაჯიმბას დასანახად ვერ იტანენ და როცა ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში ანქვაბმა მოუგო ხაჯიმბას, ეს დიდწილად გალელი ქართველების ანქვაბისადმი ერთსულოვანმა მხარდაჭერამ განაპირობა. შეიძლება ითქვას, ხაჯიმბას პირადი შურისძიების მოტივიც აქვს გალელი ქართველების მიმართ და ამას სიამოვნებით გააკეთებს, მით უფრო, ეს რუსეთის დაკვეთაც არის. ცხადია, ყველა ქართველი თავჩაღუნული, უსიტყვოდ არ დატოვებს სახლ-კარს და ბევრი წინააღმდეგობასაც გაუწევს სეპარატისტებს, მათ შორის, სავარაუდოდ, შეიარაღებულსაც. „გრუ“-ს გეგმის თანახმად, სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს თენგიზ კიტოვანი თავისი მომხრეებით. კიტოვანი და ორგანიზაციის წევრები შემოიკრებენ თანამოაზრეებს და გალელი ქართველების დასაცავად, იზრუნებს, თან ისე, ქართველ მესაზღვრეებს გამოარიდებენ, იარაღსაც იქ მისცემენ კიტოვანსა და მის მოხალისეებს და რაღა დარჩა? უკვე შეიარაღებული კიტოვანი და მისი მომხრეები, აფხაზი და რუსი მესაზღვრეების პირისპირ აღმოჩნდებიან. თენგიზ კიტოვანის ხალხმა ჩახმახს ხელიც რომ არ გამოჰკრას, ისეთი ვითარება იქმნება, რომ აფხაზი და რუსი მესაზღვრეები გაუხსნიან ცეცხლს საზღვრის დარღვევის შეიარაღებულ მოსურნეთ, აბა, რისთვის დგანან იქ? საპასუხო ცეცხლიც არ დააყოვნებს, მსხვერპლი აქეთაც იქნება და იქითაც, რაც მთავარია, რუსი ჯარისკაცები დაიღუპებიან, დაიჭრებიან და ამ პროვოკაციის შემდეგ რუსებს სამოქმედოდ ხელ-ფეხი გაეხსნებათ – კონფლიქტში რუსეთის დამატებითი ძალები ჩაერევიან, კიტოვანსა და მის მომხრეებს კუდით ქვას ასროლინებენ და სამხედრო მოქმედებებს სამეგრელოს ტერიტორიაზე გადმოიტანენ. რუსეთს ამ კონფლიქტში ჩარევის სხვა საბაბიც ექნება. რუსეთსა და დე ფაქტო აფხაზეთის ხელისუფლებას შორის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ 2009 წელს გაფორმდა ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი ვალდებულია, გარე საფრთხეებისგან დაიცვას აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკა. რუსეთი უწინდელ საწადელს აისრულებს – გალში ქართველებს გაუსწორდება, მათგან სრულად გაწმენდს ამ რაიონს.

სამეგრელოს ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების გადმოტანა, ფაქტობრივად, რუსეთ-საქართველოს ახალი ომი იქნება და ეს ომი რა შედეგით დასრულდება, ძნელი წარმოსადგენი არ არის. შესაძლოა, რუსეთმა სამეგრელოს ოკუპაცია არ მოახდინოს, მცირე მასშტაბის, რამდენიმედღიანი საბრძოლო მოქმედებებით შემოეფარგლოს და მერე, საერთაშორისო საზოგადოების წიოკისა და მხოლოდ გულმხურვალე აღშფოთების საპასუხოდ, უკან, აფხაზეთში დააბრუნოს შეიარაღებული ძალები. მაგრამ რუსეთმა სულ ომობანა რომ გვეთა-

*გაგრძელება მეთორმეტე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### საქართველოში დანაშაულის რაოდენობა არ გაზრდილაო?



საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, ვახტანგ ხმალაძის თქმით, ქვეყანაში კრიმინალი არ გაზრდილა.

„ვინ გითხრათ, რომ კრიმინალური ფაქტები გახშირდა? საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია? „ნაციონალური მოძრაობა“ კი საუბრობს ამაზე, მაგრამ ამას შემოწმება სჭირდება. ჩემი აზრით, ეს არის ტყუილი. რა ინფორმაციასაც ვფლობ, კრიმინალი სტატისტიკურად არ გაზრდილა. თქვენ იცით სხვა ქვეყნებში, მაგალითად, გერმანიაში, ან შეერთებულ შტატებში, რამდენ წუთში ერთხელ ხდება მკვლელობა?! სამწუხაროდ, ადამიანები სჩადიან დანაშაულს. რაც შეეხება სტატისტიკურად გაზრდილია თუ არა დანაშაულის რაოდენობა საქართველოში, ჩემი ინფორმაციით, არ გაზრდილა“, – განაცხადა ხმალაძემ.

შეგახსენებთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე 2014 წლის საქართველოში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა და კვარტალური ანგარიში ჯერჯერობით არ მოიპოვება. უახლესი მონაცემები მხოლოდ 2013 წლის იანვარ-მარტის ინტერვალის კუმულატიურ მაჩვენებლებს ასახავს. ამ პერიოდის მონაცემების შესაბამისად, წინა წლებთან შედარებით დანაშაული 16,6 პროცენტითაა მომატებული. (რეპორტიორი)

### შესწორება

„ალიას“ 82-ე ნომერში, მე-11 გვერდზე დაიბეჭდა საინფორმაციო სააგენტოდან გადმოტანილი გოგი გვახარიას წერილი სათაურით „სამართლიანობის აღდგენა“ სერვანტესის, ვოლტერის, ვაჟას წიგნების ფონზე. სამწუხაროდ, ტექნიკური მიზეზების გამო, წყარო – „რადიო თავისუფლება“ საგაზეთო წერილზე მითითებული არ აღმოჩნდა.

### მენინგიტის შემთხვევებმა იკლო

დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, დღეისთვის საქართველოში მენინგიტის 538 შემთხვევაა დაფიქსირებული. მისი განცხადებით, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მენინგიტის შემთხვევების ტემპმა შედარებით იკლო.

„ადგილი აქვს ზრდის ტემპის კლებას, დღეისთვის 538 შემთხვევაა დაფიქსირებული, აქედან 291 თბილისში. დაავადებათა მიმდინარეობა ხასიათდებოდა მსუბუქად და საშუალო სიმძიმით, უმრავლესობა პაციენტებისა გაეწერა და მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ჩვენი რეკომენდაციები ისევ გახლავთ ის, რომ მაქსიმალურად დავიცვათ სანიტარიული ჰიგიენური პირობები, რამეთუ ამ ტიპის მენინგიტის პრევენცია ვაქცინის საშუალებით არ ხდება“, – განაცხადა გამყრელიძემ. (ნიუპოსტი)

### ცესკოს ამომრჩეველთა საბოლოო მონაცემები გადაეცა




სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ცესკოს ამომრჩეველთა საბოლოო მონაცემები გადასცა. როგორც ცნობილია, „საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ-ი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ვალდებულია, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საარჩევნო სიის ფორმირებისთვის საჭირო მონაცემები მიაწოდოს.

სერვისების განვითარების სააგენტოში ამომრჩეველთა ერთიანი სიის შესადგენად აუცილებელი მონაცემების დახვეწა რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. 15 ივნისის არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელი საბოლოო მონაცემები ცესკო-ს 2 ივნისს გადაეცა კანონით დადგენილი წესით.

„საარჩევნო კოდექსში“ უკანასკნელ პერიოდში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ამომრჩეველთა სიის ერთ-ერთი რეკვიზიტია ამომრჩევლის ფოტოსურათი, რის შედეგადაც, 15 ივნისის არჩევნებზე, საქართველოს პირველად ექნება საარჩევნო უბნებზე ფოტოსურათიანი სიები.

ფოტოსურათიანი საარჩევნო სიის შედგენის მიზნით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 28 მაისს დაასრულა სამოქალაქო რეესტრის ბაზებში ფოტოსურათებისა და სხვა მონაცემების გაორებების აღმოფხვრის პროექტი. ამ მიზნით შეძენილ იქნა სპეციალური ფოტოსაძიებო სისტემა, რომლის დახმარებითაც სააგენტოს თანამშრომლებმა შეისწავლეს 4 348 919 სხვადასხვა მონაცემი და მონაცემთა კომბინაცია. ბაზაში 9 595 სავარაუდო გაორება აღმოჩნდა, რომლებიც სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში გადაიგზავნა. შესაბამისი საქმის წარმოების შედეგად, საბოლოოდ, 5 537 შემთხვევაში გაორება არ დადასტურდა, ხოლო გაორება აღმოიფხვრა 3 271 შემთხვევაში და ერთ-ერთი დოკუმენტი გაუქმდა. აღნიშნული მონაცემები ამომრჩეველთა სიაში უკვე აღარ ფიგურირებს.

იმავე პროექტის წარმატებით განხორციელების მიზნებისთვის სამოქალაქო რეესტრის ელექტრონულ ბაზებში მთლიანობაში გასწორდა მოქალაქის მონაცემებზე არასწორად მიბმული 90 787 ფოტოსურათი.

ამომრჩეველთა ერთიანი სიისთვის საჭირო მონაცემების დახვეწის მიზნით, იუსტიციის მინისტრის სხვადასხვა ბრძანების საფუძველზე, პირადობის მოწმობისა და ფოტოსურათის საფასურის გადახდისგან განთავისუფლებულნი იქნენ უმისამართოდ რეგისტრირებული (სულ ასეთი იყო 41 259), რეგისტრაციიდან მოხსნილი (სულ ასეთი იყო 101 165) და მონაცემთა ბაზაში უხარისხო ან ფოტოსურათის გარეშე (უხარისხო ფოტოს მფლობელი 3 606 პირი, სურათის გარეშე მყოფი 6 807 პირი) პირები. აღნიშნული შესაძლებლობით ისარგებლა 12 048-მა მოქალაქემ, მათ შორის 3 353-მა მანამდე უმისამართოდ რეგისტრირებულმა, 7 757-მა მანამდე რეგისტრაციიდან მოხსნილმა პირმა და 875-მა პირმა, რომელთაც ფოტოსურათთან დაკავშირებული პრობლემა ჰქონდათ.

„საარჩევნო კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ამომრჩეველთა ერთიან სიაში არ შეიტანება იმ პირთა შესახებ მონაცემები, რომელთა სახელზე ბოლოს გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი გაუქმდა გაყალბების ან ბათილად ცნობის გამო, ან რომელთაც არ აუღიათ მიმდინარე არჩევნების დროისთვის იურიდიული ძალის მქონე საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი. 2014 წლის 25 მაისის მდგომარეობით საქართველოში ასეთი 60 000-მდე მოქალაქე იყო აღრიცხული. (რეპორტიორი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


*მეთერთმეტე გვერდიდან*

მაშოს, ეს მაინც დიდი უბედურება იქნება ჩვენთვის. ქვეყნის სტაბილურობას ძირი გამოეთხრება და ამას არაერთი უარყოფითი თანამდევი მოვლენა მოჰყვება – მაროდიორობა, კრიმინალის გაზრდა, უცხოელი ინვესტორების საქართველოდან გაქცევა და სხვ. რუსეთი კი მართლა დიდ სარგებელს მიიღებს ამ პრომოგიერთდებათ. **შემდეგ რუსი სამხედროები გადაგიყვანენ აფხაზეთის პირობით საზღვართან, იარაღსაც მოგცემენ და აფხაზებს ომს გაუჩაღებთ. ეს კი რუსეთს მისცემს საშუალებას, ომში ჩაერიოს აფხაზების დასაცავად, გალი ქართველებისგან გაწმინდოს და სამეგრელოს ტერიტორიაზეც გადმოიტანოს სამხედრო მოქმედებები.**

– ვინც ეგ გითხრათ, ის თვითონ არის მაგის გამკეთებელი, საქართველოს მტერი და რუსეთის აგენტი. თენგიზ კიტოვანი აქ პროვოკაციისთვის არ ჩამოსულა, ჩემი შვილებისა და შვილიშვილების სანახავად ჩამოვედი, სააკაშვილი 10 წელი არ მიშვებდა საქართველოში და ახლა ჩამოვედი. აგერ, ქვემო ქართლში რა ხდება, ლამის ტერიტორიები წაგვართვან აზერბაიჯანელებმა, აჭარაში, ხელვაჩაურში თურქი სამხედროები შემოიჭრნენ და ქართულ მიწას გვედავებიან. ამ ყველაფერშიც კიტოვანია დამნაშავე? ვთქვათ და ვაღიაროთ, რომ ბევრი პრობლემა გვაქვს და მათ გადასაჭრელად თუ რამეში გამომიყენებენ, გვერდით დავუდგები ჩემს ხალხს.




**„მე შეთანხმებული ვიყავი ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო სარდლობასთან, კარძოდ, სარდალ რეუტთან, ისინი დამეხმარებოდნენ და სოხუმს უპრობლემოდ ავიღებდი. შევარდნაძეს მადლობა უნდა ეთქვა ჩემთვის, მაგრამ ზესტაფონთან ჯარი დამახვედრა, დამიჭირა და მე და ჩემი ბიჭები ციხეში ჩაგვსვა. 5 წელი მომახდევინეს პატრიოტობისთვის“**

ვოკაციით – უელსის ნატო-ს სამიტზე საქართველოსთვის მაპ-ს მინიჭების ან ნატო-სთან საქართველოს დაახლოების რაიმე სხვა გეგმა არც კი განიხილება. ეგღა აკლია ნატო-ს, რუსეთთან დაპირისპირებულ საქართველოს ხელი შეაშველოს.

**„ალია“ ინფორმაციის გადასამოწმებლად თენგიზ კიტოვანს დაუკავშირდა“**

**— ბატონო თენგიზ, ჩვენი წყაროს ინფორმაციით, თქვენი საქართველოში ჩამოსვლა რუსეთის სპეცსამსახურის, „გრუ“-ს გეგმის განხორციელებას უკავშირდება. კერძოდ, რაულ ხაჯიმბა და მისი მომხრეები მალე დაიწყებენ გალიდან ქართველების დევნასა და გამოძევებას. გალელი ქართველების დაცვის მიზეზით, თქვენი ორგანიზაციის წევრებთან ერთად, ჩახვალთ სამეგრელოში, გზა და გზა ხალხიც შე-**

**— თქვენ აფხაზეთის დაბრუნების ერთი მცდელობა უკვე გქონდათ, მაგრამ თქვენს არაფორმალურ სამხედრო დაჯგუფებასთან ერთად, ზესტაფონში დაგაკავეს. მაშინაც ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე მიდიოდით საომრად.**

– ხელისუფლებას არ სურდა აფხაზეთის დაბრუნება და ამის გაკეთება მაშინ, 1995 წელს, მართლა შემეძლო. თქვენ არ იცით, მაგრამ მე შეთანხმებული ვიყავი ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო სარდლობასთან, კარძოდ, სარდალ რეუტთან, ისინი დამეხმარებოდნენ და სოხუმს უპრობლემოდ ავიღებდი. შევარდნაძეს მადლობა უნდა ეთქვა ჩემთვის, მაგრამ ზესტაფონთან ჯარი დამახვედრა, დამიჭირა და მე და ჩემი ბიჭები ციხეში ჩაგვსვა. 5 წელი მომახდევინეს პატრიოტობისთვის.

**— ბატონი თენგიზ, გალიდან აფხაზებმა ქართველები რომ გამოყარონ, არ წახვალთ მათ დასახმარებლად?**

– წავალ, აბა, არ წავალ? გვერდში დავუდგები და დავიცავ, რითიც შემეძლება, მაგრამ გალელებს კი არა, ყველა ქართველს დავუდგები გვერდით, ვინც დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას შეეცდება.

**— იარაღის გარეშე?**

– კი, იარაღის გარეშე. თუ გალში რამე მოხდა, მე ჩემით იარაღს არ ავიღებ, მთავრობასთან შეთანხმების გარეშე არ ავიღებ იარაღს. თუ ომი დაიწყო, მხოლოდ მთავრობასთან შეთანხმებით წავალთ და ვიბრძოლებთ, მაგრამ ისე, ჩემი ინიციატივით, არსად არ ჩავერევი. მე ნუ დამაბრალებენ, თუ სადმე რამე მოხდა. აფხაზეთში ისედაც მყიფეა ვითარება და ომი თუ დაიწყო, კიტოვანი არაფერ შუაში არ იქნება.

**— ანუ არანაირ სამხედრო ფორმირებას არ ჩამოაყალიბებთ, გალში ომიც რომ დაიწყოს?**

– მხოლოდ მთავრობასთან შეთანხმებით, ისე არაფერს არ ჩამოვაყალიბებ. უკვე მაქვს პატრიოტული ორგანიზაცია ჩამოყალიბებული, 15 კაცის შეიარაღებას ვთხოვ სახელმწიფოს და ამას არ მაძლევენ.

ვინც ეგ ამბავი გითხრათ, რომ თენგიზ კიტოვანი აფხაზეთის ომის პროვოცირებას აპირებსო, გადაეცით, რომ თვითონ არის პროვოკატორი და რუსეთის აგენტი. მე არაფერს ცუდს არ ვაპირებ ჩემი ქვეყნისა და ხალხისთვის, ეგრე დაწერეთ.

**ხათუნა ელბაქიძე**

*591 41-27-97*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „რა დაესიზმრათ ამ ადამიანებს ერთდროულად?“




„გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი, ნანა დევდარიანი თვლის, რომ სხვადასხვა ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატების მიერ კანდიდატურების მოხსნა ზეწოლის შედეგია.

„მოვუწოდებ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, სხვადასხვა ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატების მიერ კანდიდატურების მოხსნით დაინტერესდეს და გამოიძიოს, რეალურად, რატომ ამბობენ უარს კონკრეტული პირები არჩევნებში კენჭისყრაზე. ცსკ-ს თავმჯდომარე შეეცადა ამ პირებთან შეხვედრას, მაგრამ მათ ბოლო წუთში უარი განაცხადეს, რაც იმის დასტურია, რომ რაღაც ხდება და ამ პირებზე ზეწოლაა განხორციელებული. კომისია უნდა დაინტერესდეს, რა მოხდა ამ ოლქებში, რა დაესიზმრათ ამ ადამიანებს ერთდროულად. თამარ ჟვანიას უნდოდა შეხვედრა და თავი აარიდესო, ესე იგი, რაღაც ხდება, ხომ? ხელისუფლებამ, წინასაარჩევნოდ მორატორიუმი გამოაცხადა არჩევნებში ჩართული პირების დაკავებაზე, სამაგიეროდ დაიწყო კანდიდატებზე ზეწოლა, რომ საკუთარი პარტიული სია ადვილად გაიყვანოს არჩევნებში“, – განაცხადა ნანა დევდარიანმა. (რეპორტიორი)

## აფხაზეთში ვერაფერს შევცვლითო




საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ალექსანდრე ქანთარია მიიჩნევს, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ვერ შედგა.

„ახლა უკვე, განტევების ვაცებს ეძებენ. ამ შემთხვევაში ასეთი ანქვაბია. ასევე ეძებენ იმ მილიარდებს, რომელიც რუსებმა აფხაზებს აფხაზეთის ასაყვავებლად გადასცეს“, – განაცხადა ქანთარიამ. მისი თქმით, აფხაზეთში მიმდინარე პროცესების პარალელურად საქართველოს მთავრობა ყველა იმ სცენარს განიხილავს, რის განვითარებაც, შესაძლოა, მიმდინარე პროცესების დროს გახდეს საჭირო.

„სამწუხაროდ, ჩვენ აფხაზეთში მიმდინარე პროცესების, მხოლოდ თვალის დევნება შეგვიძლია. არ გაგვაჩნია არანაირი ბერკეტი, რომ სიტუაცია შევცვალოთ. მიმდინარეობს ყველა სცენარის განხილვა, რაც ჩვენს შესაძლებლობებშია. მოთმინება გვმართებს, პირდაპირი ჩარევა, რა თქმა უნდა, გამორიცხულია“, – განაცხადა ქანთარიამ. (რეპორტიორი)

## გერმანია-საქართველოს ბიზნესფორუმზე ღარიბაშვილი სიტყვით გამოვიდა



ბერლინში გერმანია-საქართველოს ბიზნესფორუმზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი სიტყვით გამოვიდა და აღნიშნა, რომ საქართველო მზად არის, მოიზიდოს ახალი ინვესტიციები და ბიზნესს მხარში დაუდგეს:

„ეს გარკვეული ბიძგი იქნება საქართველოსთვის, რათა მოიზიდოს ახალი ინვესტიციები, საქართველოს აქვს გერმანიასთან ახლო ურთიერთობა. ჩვენ, როგორც მთავრობას, შეგვწევს ძალა, ბიზნესმა იხილოს სანდო გარემო, ჩვენ უნდა ვიყოთ სანდო პარტნიორები, ჩემი გუნდი მზად არის, მოგაწოდოთ გარანტიები იმისთვის, რომ საქართველო ბიზნესის მხარდაჭერისთვის მზად არის“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ნიუპოსტი)

## ლიხნში მეხმა საუკუნოვანი მუხა გაიხლიჩა, უხუცესები უბედურებას წინასწარმეტყველებენ



„აფხაზეთის ხმის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში მეხის დაცემის შედეგად გაიხლიჩა საუკუნოვანი მუხა, სადაც 1989 წელს ისტორიულად ცნობილი „უხუცესთა ყრილობა“ გაიმართა და საქართველოსგან გამოყოფა მოითხოვეს.

მუხის გახლეჩას უბედურების მომასწავებლად მიიჩნევენ აფხაზი უხუცესები. აფხაზურ ფორუმებზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ უხუცესებმა გააფრთხილეს აფხაზი ერი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ: „მუხის გახლეჩა არაფერ კარგს არ მოასწავებს. ეს ნიშანია, რომ ერთად უნდა ვიყოთ და არ უნდა გავიხლიჩოთ, თორემ უბედურება არ აგვცდება“, – მოჰყავთ ფორუმზე ერთერთი უხუცესის სიტყვები.

შეგახსენებთ, რომ 1989 წელს ლიხნში ჩატარებულ აფხაზ უხუცესთა ყრილობას მოჰყვა წერილი, სადაც აფხაზებმა საქართველოსგან გამოყოფა მოითხოვეს, მოგვიანებით ამ წერილის საფუძველზე აფხაზეთში ქართველთა შევიწროებამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

1989 წლის აპრილში დაიწყო გამოსვლები თბილისში, სადაც თავდაპირველად ედპ-მ აფხაზეთის საკითხი წამოსწია, თუმცა, მოგვიანებით ეროვნული მოძრაობის ლიდერების ერთობლივი შეთანხმებით, გამოსვლები საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნაში გადაიზარდა, რადგან ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ირაკლი წერეთელი და სხვა ლიდერები მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აფხაზეთის საკითხი ავტომატურად მოგვარდებოდა. (აფხაზეთის ხმა)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვინ როგორ აფასებს ღარიბაშვილისა და მერკელის შეხვედრას?



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ზურაბ აბაშიძის თქმით, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გერმანიაში ვიზიტი არის იმის მკაფიო ნიშანი, რომ საქართველოს ხელისუფლების თანმიმდევრული პოლიტიკა გერმანელების სრულ მხარდაჭერასა და მაღალ შეფასებას იმსახურებს.

„მსგავსი მაღალი დონის მიწვევა მერკელის მთავრობის მხრიდან საქართველოს ხელისუფლების მიმართ აქამდე არ ყოფილა, რაც მეტყველებს გერმანიის მთავრობის მხარდაჭერასა და იმაზე, რომ მოქმედმა მთავრობამ ევროპული ღირებულებების მიმართ ერთგულება დაამტკიცა. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც იზიარებს ევროპულ იდეებსა და მისწრაფებებს და ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. ამ თვალსაზრისით, ეს არის საქართველოს კიდევ ერთი დიდი აღიარება“.

საქართველოს ვიცე-პრემიერის, ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის თქმით, „მერკელმა თქვა, რომ უკრაინის ფონზე უელსის სამიტზე, ალბათ, რთული იქნება მაპ-ზე ლაპარაკი, თუმცა ითქვა, რომ მოიძებნება ფორმა, როგორ უნდა დაფიქსირდეს საქართველოს პროგრესი. ჩვენი პარტნიორები ამ კუთხით ჯერ ვერაფერს გვეუბნებიან. ალბათ, უახლოეს პერიოდში იქნება ამასთან დაკავშირებით კომუნიკაცია ჩვენს ხელისუფლებასთან. არ ვიტყოდი, რომ ეს არის იმედგაცრუება საქართველოს ხელისუფლებისთვის. ეს არის პარტნიორული დამოკიდებულება ჩვენს მიმართ. მათთვის სულ ერთი არ არის საქართველოს ბედი. მერკელის საუბრიდან ჩანდა, რომ გერმანია არის სისხლხორცეულად მონდომებული, რომ სტაბილურობა იყოს სამხრეთ კავკასიაში“.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, „ანგელა მერკელის განცხადება ხელისუფლების უუნარობის დამსახურებაა“.

„გერმანია ყოველთვის იყო სკეპტიკურად განწყობილი ქვეყნების სიაში. 2012 წლის არჩევნებზე ხელისუფლების მშვიდობიანმა ცვლილებამ, შემდეგ საერთაშორისო ვითარებამ და უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა შექმნა საუკეთესო წინაპირობა იმისთვის, რომ, თუკი საქართველოს ხელისუფლება გადადგამდა შესაბამის ნაბიჯებს და გაატარებდა შესაბამის დიპლომატიურ საკონსულტაციო სამუშაოს, შესაძლებელი იყო, რომ ჩვენ უელსის სამიტზე გარკვეული წინსვლა და წარმატება გვქონოდა. მერკელის განცხადება, რომ მაპ-ს ვერ მივიღებთ, უნდა მივაწეროთ იმ უუნარობას, რაც დღევანდელ ხელისუფლებას ახასიათებს, ზოგადად, და მათ შორის საგარეო სფეროში“.

სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელის ეკა ტყეშელაშვილის განცხადებით, „გერმანიის ასეთი პოზიცია არახალია. მე რომ ვიყო ხელისუფლების წარმომადგენელი, ფარ-ხმალს ბოლომდე ჯერ კიდევ არ ჩამოვყრიდი, რადგან მანამ, სანამ ბოლომდე არ დადგება სამიტის მომენტი, ყოველთვის არის შანსი, რომ მიაღწიო პროგრესს, რომელსაც გინდა, მიაღწიო. როდესაც ბუქარესტის სამიტზე მივდიოდით, არც მაშინ იყო გარანტია იმისა, რომ ჩვენ მაპ-ს მივიღებდით. მაპ-ი არ გამოვიდა, მაგრამ წევრობის გარანტია გამოვიდა“.

საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, სერგი კაპანაძის განცხადებით,

„არავისთვის არ არის დასამალი, რომ გერმანია ითვლება სკეპტიკურ ქვეყნად, რომელიც, სამწუხაროდ, როგორც ბუქარესტის სამიტზე, ისევე დღესაც საკმაოდ ნეგატიურ როლს თამაშობდა ჩვენი ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. ბუნებრივია, გერმანიის მხრიდან იქნება მცდელობა, არ მოგვცეს ის ინსტრუმენტები, რომლებიც უახლოეს მომავალში გაგვაწევრიანებს ნატო-ში. ამას მიზანმიმართული მუშაობა სჭირდება ხელისუფლების მხრიდან, რომ გერმანიის ეს პოზიცია შეიცვალოს“.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე კი აცხადებს:

„ფედერალურმა კანცლერმა თქვა, რომ მაპ-ის გარდა, შეიძლება, გამოინახოს სხვა გზებიც, რომლითაც შეიძლება, დაფასდეს საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი. ამ სხვა გზებზე იყო საუბარი ორმხრივი შეხვედრის დროს, მიმდინარეობს კონსულტაციები, რა იქნება ეს. ერთი რამ არის უეჭველი, რომ საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი აუცილებლად იქნება აღიარებული ადეკვატურად და აღნიშნული უელსის სამიტზე მოხდება. ეს არის მთავარი გზავნილი, რომელიც ჩვენ გერმანიის ფედერალურმა კანცლერმა მოგვცა“. (რეპორტიორი, ფრონტნიუსი)

## გიორგი ქისტაური მაია ასათიანს: „მერსის ძუძუების დღე და ღამე ტრიალს, სჯობს, ეს ბავშვი და მისნაირები მიიწვიოთ“



„გადაიღეთ მხიარული, საინტერესო, ორიგინალური ვიდეო, ექსკლუზიურად ტოქშოუ „პროფილისთვის“ და გამოგვიგზავნეთ 12 ივნისამდე. დააგროვეთ ყველაზე მეტი ნახვა და გამოხმაურება და მოხვდით ჩვენთან გადაცემაში! კონკურსის თემატიკა მრავალფეროვანია. თქვენ მიერ გადაღებული ვიდეო შეიძლება იყოს ნებისმიერი შინაარსის. ვიდეოს ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წუთს. გისურვებთ წარმატებებს!“, – ეს განცხადება გასულ ხუთშაბათს გადაცემა „პროფილის“ წამყვანმა, მაია ასათიანმა გადაცემის დასრულებისას გააკეთა. სოციალურ ქსელებში ასათიანის განცხადებას არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა.



„ფეისბუკის“ ერთ-ერთი მომხმარებელი გიორგი ქისტაური საკუთარი გვერდიდან მაია ასათიანს ვრცელი ტექსტით მიმართავს:

– ქალბატონო ხუთშაბათის მაიკო, ჩემი აზრით, ძუძუს გადმოგდებაში კი არ უნდა აცხადებდეთ კონკურსებს და უაზროდ გაპოპულარულებაში, აი, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება, იმათ რომ მიექცეთ ცოტა ყურადღება, კარგი იქნებოდა. რა იცი, იქნებ ამ ბიჭს რომელიმე რესტორნიდან, ანსამბლიდან მოუვიდეს მიწვევა და ქუჩაში 20 თეთრისთვის სიმღერა აღარ მოუწიოს. ჩემი აზრით, მერსისა და მისი ძუძუების დღე და ღამე ტრიალს სჯობს, ეს ბავშვი და მისნაირები მიიწვიოთ, ერთხელ მაინც, – წერს ქისტაური და ვიდეოს აქვეყნებს, სადაც 12-13 წლის ბიჭი აკორდეონზე უკრავს.

***reportiori.ge***

## თინა მახარაძე: „ჩემი ტიპის ფორმირებაში რუსთავმა დიდი როლი შეიტანა“



მსახიობი თინა მახარაძე „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში ბავშვობას იხსენებს. მისი თქმით, ის ძველ რუსთავში დაიბადა, რომელმაც მისი აზროვნების ფორმირებაში დიდი წვლილი შეიტანა.

თინა მახარაძე: „რუსთავში დავიბადე და მეშვიდე კლასამდე იქ ვცხოვრობდი. მიყვარს რუსთავი თავისი ბათქაშჩამოყრილი ძველი სახლებით. ჩემი ტიპის ფორმირებაში რუსთავმა დიდი როლი შეიტანა. მე ძველ რუსთავში დავიბადე-გავიზარდე და ეზოებში დავრბოდი. ძველი აფთიაქის სუნს ვსუნთქავდი მთელი ჩემი ბავშვობა. ამის გამო გემოვნება ბევრად დამეხვეწა და ფაქიზი ნიუანსების შეგრძნება შემიძლია. მიყვარს ბაძუნგალა ჯიხურები, სადაც გაცრეცილკოლოფიანი „ვაისროი“ იყიდება. ამაში ესთეტიკას ვხედავ.  ჩემი ოჯახი ცხოვრობს გლდანში და დროის დიდ ნაწილს იქ ვატარებ. დიდი პერიოდი ვცხოვრობდი სხვაგან, ჩემთვის დამოუკიდებლად. ლოკაციას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. ძალიან მიხარია, რომ გლდანში ვცხოვრობ. ეს იმხელა სიამოვნებაა, როდესაც დილას ჩემს აივანზე გავდივარ და ვხედავ, თვითმფრინავები როგორ მოფრინავენ ერთნაირი, მაღალი შენობების თავზე. ირგვლივ ბევრი კორპუსია, აზერბაიჯანელი ქალი ბოსტნეულს ყიდის და მე შემიძლია, ყოველდღე ჩავიდე მასთან. ჩემს უბანთან დაკავშირებით საინტერესო ფოტოპროექტს ვაპირებ. კომპლექსი შეიძლება იმის მქონდეს, რომ საინტერესო რამეები ვაკეთო იმ ადგილას, რომელ ადგილსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. ლესელიძეზე ისედაც ბევრი საინტერესო დაწესებულებაა, გლდანში – არაფერი“. – ამბობს თინა მახარაძე „პრაიმტაიმთან“ საუბრისას.

***reportiori.ge***

## თიკა ჯამბურია შეყვარებულია – ვინ არის მომღერლის რჩეული?



მომღერალი თიკა ჯამბურია შეყვარებულია – მისი რჩეული ზუკა ყალიჩავაა. ერთობლივი ფოტო მომღერალს „ფეისბუკზე“ მთავარ ფოტოდ აქვს დაყენებული. ფოტო ბევრ მეგობართან ერთად ყოფილ მეუღლეს – ბექა ხოფერიასაც აქვს მოწონებული. მომღერალმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, თუმცა გავრცელებული ამბავი არც დაადასტურა და არც უარყო.

– სიმართლე გითხრათ, ჩემს შესახებ ძალიან ხშირად წერენ ხოლმე ჭორებს. არ მინდა საერთოდ ამ თემაზე ლაპარაკი, როცა საჭიროდ ჩავთვლი, მაშინ გავაკეთებ კომენტარს და ყველა გაიგებს, ვინ მიყვარს... ბევრ ადამიანთან მაქვს ფოტო გადაღებული, ეს არაფერს ნიშნავს, – ამბობს თიკა ჯამბურია.

***reitingi.ge***

## რუსმა მომღერალმა ქეთა თოფურიას სიყვარული საჯაროდ აუხსნა



სერგეი ლაზარევის ქეთა თოფურიასადმი სიყვარულის შესახებ რუსულ პრესაში ადრეც წერდნენ, თუმცა მას მერე, რაც ქეთა გათხოვდა, მითქმა-მოთქმაც ჩაცხრა.

თუმცა ახლა კვლავ აქტუალური გახდა ეს თემა. აღმოჩნდა, რომ რუს მომღერალს ქეთასადმი გრძნობა არ განელებია. სოციალური ქსელითაც არ მალავს თავის გრძნობებს და ღიად უცხადებს სიყვარულს: „მე მასზე, უბრალოდ, ვგიჟდები!!! ის ყოველთვის მხარში დაგიდგება!! ქეთი, მე შენ მიყვარხარ“. – წერს ლაზარევი.

ზოგიერთი რუსული გამოცემა უფრო შორსაც წავიდა და წერს, რომ არც ქეთაა გულგრილი ამ ამბებისადმი და ბიზნესმენ ლევან გეიხმანს აშკარად აქვს სანერვიულო“, – აქვეყნებს „რეიტინგი“.

***pia.ge***

## ნანუკა ჟორჟოლიანი: „მინდა, რომ ამ ისტორიამ დამტოვოს იმიტომ, რომ აღარ შემიძლია ამით სიარული“



ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი სოციალური ქსელის მეშვეობით, ვაკეში მომხდარ უბედურ შემთხვევას ეხმაურება.

„რამდენიმე დღის წინ მოხდა საშინელი ტრაგედია. ბავშვი ფანჯრიდან გადახტა. მოზარდი გოგო. თითქმის მარიამის ასაკის. დედასთან კონფლიქტის შემდეგ... არც კი მინდა წარმოვიდგინო, გავიაზრო იმ დედის მდგომარეობა, რომელმაც ეს დაინახა და შვილს ზუსტად იმავე ფანჯრიდან გადაჰყვა. საბედნიეროდ (რაც საკამათოა), გადარჩა. საკამათოა იმიტომ, რომ ალბათ, იმ უბედურ გოგოს, რომელმაც ერთადერთი შვილი დაკარგა, ერჩივნა თავის შვილთან ერთად ყოფნა. ამ ისტორიას ვერ ვიშორებ უკვე დღეებია. საკმარისია, დავწვე და თვალი დავხუჭო, წარმოვიდგენ ყველა იმ ბავშვს, რომელიც მასთან ერთად სწავლობდა. ეს ბავშვი მარიამის სკოლელი იყო. წარმოვიდგენ იმ ეზოს, როგორ ისხდნენ, ალბათ, კიბეზე...

ბიბლიოთეკასა და სასადილოში, რომლის დიდი ფანჯრებიდანაც უყურებდნენ ერთად დიდ ეზოს... სავსეს მომღიმარი და ბედნიერი ბავშვებით! ბავშვებით, რომლებსაც ძალიან უყვართ იქ ყოფნა... რაღაცნაირად განსხვავებულ გარემოში. ლაღი და ძალიან ჯანმრთელი ბავშვებით. იქ ასწავლიან მათ გუნდური ცხოვრების თამაშის წესებს და ამიტომაც ყველაფერს აკეთებენ ერთად... ახლა, რომ წარმოვიდგენ: როგორი სიჩუმეა, ალბათ, იქ, ტანში მზარავს. ახლა რომ წარმოვიდგენ, რომ ბავშვმა, რომელიც მარიამის თანატოლი იყო, ცხოვრება თვითონ დაისრულა. აღარ მინდა არაფერი და რასაც ვერ წარმოვიდგენ, არის დღე, როდესაც ბავშვის დედა თვალებს გაახელს და... მინდა ყველა ბავშვს მოვეფერო გულით. ამერიკული სკოლის ყველა მოსწავლეს! მინდა, რომ ამ ისტორიამ დამტოვოს, იმიტომ რომ აღარ შემიძლია ამით სიარული! და ამ ბავშვებმა მალე შეძლონ ამის დავიწყება! და მინდა, რომ ყველას შვილი კარგად ჰყავდეს! ყველას! ახლა კი ყველაზე მეტად მინდა იმ დედამ, რომელიც საავადმყოფოშია, ჯერ კიდევ შეძლოს! შეძლოს ამ საშინელი ისტორიით არსებობა“, – წერს ნანუკა ჟორჟოლიანი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

***newposts.ge***

## რა სიურპრიზი მოუწყო ანუკი არეშიძემ მილანში ნუკა ყარალაშვილს



22 წლის მოდელი მოდის ქალაქ მილანში ცხოვრობს. ყარალაშვილი ანუკი არეშიძის ახლო მეგობარია, რომელმაც ცოტა ხნის წინ მას სიურპრიზი გაუკეთა.

– ახლა ჩამოსული იყო მილანში და საჩუქარი გამიკეთა. ეს მოდის სფეროს არ ეხება, პირადი საჩუქარია. ანუკის დიდი ხანია ვიცნობ, ბავშვობიდან... ერთად დავდიოდით სამოდელო სააგენტოში. მილანში პირველად რომ ჩამოვედი, მაშინაც ვნახე. გადასარევი გოგოა. ყველანაირად გვერდში ამომიდგა. ვმეგობრობთ... როგორც იცით, ანუკის ბოლო ჩვენება მე დავხურე. ძალიან მიყვარს ანუკი, როგორიც ადრე იყო, ისევ ისეთია. წარმატებას არ შეუცვლია“, – ამბობს ყარალაშვილი „რეიტინგთან“ საუბრისას.

***pia.ge***

## შორენა ბეგაშვილის ავტომანქანას ხე დაეცა



მსახიობისა და ტელეწამყვანის შორენა ბეგაშვილის ავტომანქანას ხე დაეცა. ტელეწამყვანმა ფოტოები რამდენიმე წუთის წინ გამოაქვეყნა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

– ყველა დამპალი ხე ჩემს მანქანას რატომ ეცემა? – წერს ბეგაშვილი.

***reportiori.ge***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– თქვენი იყო ის ვირთხა, ჩემს ეზოში რომ შემოვარდა?

– რა ვირთხა, კაცო, ძაღლია ჩემი, უიშვიათესი ჯიშის – ჯუჯა ტაქსა!

– რა ვიცი, ჩემმა კატამ კი სიამოვნებით შეჭამა და...

*****

ბიჭი გოგოს:

– შენ გჯერა, რომ სიზმარი შეიძლება ახდეს?

– რა თქმა უნდა?!

– ჰოდა, მიდი, გაიხადე!..

*****

რას ფიქრობენ მშობლები, როცა გირეკავენ და მობილური ტელეფონი გათიშული ხვდებათ:

ა) ელემენტი დაჯდა – 2%;

ბ) კვდებით – 49%;

გ) მოკვდით – 49%.

და რას ფიქრობს ცოლი, თუ თქვენი ტელეფონი გათიშულია:

ა) ელემენტი დაჯდა – 2%;

ბ) მღალატობს ეს დამპალი! – 98%.

*****



სკოლის მოსწავლეები საუბრობენ:

– მე მგონი, ჩემი მამებიდან ერთ-ერთი გეი უნდა იყოს...

– მართლა? რა საშინელებაა! ჩემი ორივე მამა ნორმალურია!..

*****

– ქალების ჯოჯოხეთში ყველა მამაკაცი გეია! სხვათა შორის, მამაკაცების ჯოჯოხეთშიც...

*****

ქვეითად მოსიარულეს ავტომობილი დაეჯახა. როგორც ხდება ხოლმე, ეგრევე შეიკრიბა სეირის მაყურებლების უზარმაზარი ჯგუფი. ერთი ქალი დაზარალებულთან მივიდა და დაკვირვება დაუწყო. ამ დროს ჯგუფს ახალგაზრდა მამაკაციც გამოეყო შეძახილით:

– ჩქარა, ყველა გაიწიეთ!

მივარდა წაქცეულს, პულსი გაუსინჯა, შემდეგ თვალებში ჩახედა, დაიხარა, სუნთქვას მოუსმინა...

ქალი:

– როცა მიხვალთ პუნქტამდე: „ექიმს დაუძახეთ", აქვე ვარ და გელოდებით!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

## მსოფლიოს ყველაზე ჭკვიანი მძარცველები



როგორ შეიძლება, ადამიანი დამნაშავეებით აღფრთოვანდე, მაგრამ არსებობენ ისეთი კრიმინალები, რომლებიც თავიანთი გამჭრიახობის წყალობით, მთლად აღფრთოვანებასა და აღტაცებას თუ არა, დამსახურებულ გაკვირვებას მაინც იწვევენ. ჩვენც რამდენიმე ასეთ მძარცველზე მოგიყვებით:

– ენტონი კურსიო – ამ ადამიანმა ბანკის ინკასატორის ავტომობილი იარაღის გარეშე, მხოლოდ გაზის ბალონის გამოყენებით გაძარცვა. და არის ამაში განსაკუთრებული და „აღმაფრთოვანებელი"? საქმე ისაა, რომ 28 წლის ენტონი კურსიო საგზაო მუშის ფორმაში იყო ჩაცმული. გარდა ამისა, ინკასატორის მანქანის გაძარცვის წინა დღეს მან გაზეთში განცხადება გამოაქვეყნა, რომ ფირმას ესაჭიროებოდა დამხმარე პერსონალი ბანკის წინ გზის შესაკეთებლად. მთავარი პირობა ის იყო, რომ ყველა დაინტერესებული პირი კონკრეტულ დროს უნიფორმაში ჩაცმული უნდა მისულიყო. განცხადებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ძარცვის დროს ბანკთან ფორმაში გამოწყობილი რამდენიმე ათეული მამაკაცი მივიდა, რამაც კურსიოს ხელები გაუთავისუფლა, მზაკვრული გეგმა ბოლომდე მიიყვანა და ადვილად მიიმალა.

ენტონი კურსიოს დაკავება პოლიციამ ბომჟის დახმარებით შეძლო, რომელმაც გამოძიებას ნაგავსაყრელზე გადაყრილი ტანსაცმელი მიუტანა. ანაბეჭდების წყალობით, მძარცველი მალევე დააპატიმრეს. თურმე, მას დანაშაულის ჩადენამდე 10 დღით ადრე შვილი შეეძინა და მისი კეთილდღეობისთვის სხვა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა.

– მომხიბვლელი მძარცველი – მამაკაცის გარდა, სხვისი ქონებისკენ ხელი შეიძლება, ქალსაც წაუცდეს. ასე მოხდა მიჩიგანის შტატშიც – ის იყო, 32 წლის მომხიბვლელმა ელმა კინგმა მსხვერპლის საძინებელი გამოაცარიელა და მიმალვა დააპირა, რომ კართან სახლის პატრონს შეეჩეხა. ელმა კინგი იმდენად ლამაზი ყოფილა, რომ დაბნეულ მამაკაცს არც კი უფიქრია, რომ ქურდთან ჰქონდა საქმე. ერთი კია, დაინტერესდა, რას აკეთებდა ის მის სახლში. გამჭრიახი ბოროტმოქმედი არ დაიბნა და უპასუხა, რომ მეგობართან მიდიოდა და გზა აერია, სახლში კი ფარეხიდან შევიდა. უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის პირდაღებულ მამაკაცს ტელეფონის ნომერიც მისცა, რათა მის „მეგობართან" გადაერეკა, თუმცა მსხვერპლმა ელმა კინგი აღარ შეამოწმა.

– მძარცველი ვუნდერკინდი – მთელი 2 წლის მანძილზე გამოძიება კოლტონ მურზე ნადირობდა, რომელსაც 19 წლის ასაკში მედიამ მეტსახელად „ფეხშიშველი ბანდიტი" შეარქვა. ის ეჭვმიტანილი იყო ასობით ძარცვაში. მათ შორის, სამი თვითმფრინავისა და ორი იახტის გაქურდვაშიც.

მცირე ასაკის მიუხედავად, კოლტონ მური ამერიკის ექვს შტატში, კანადასა და ბაგამის კუნძულებზე, ფაქტობრივად, შეცდომების გარეშე „მოღვაწეობდა". ამასთანავე, დანაშაულის დროს ფეხსაცმელს არასოდეს იცვამდა და ზემონახსენები მეტსახელიც სწორედ ამის გამო შეერქვა.

საბოლოო ჯამში, კოლტონის საწინააღმდეგო მტკიცებულებების მოპოვება პოლიციამ შეძლო და ის გასული წლის ივლისში ბაგამის კუნძულზე დააპატიმრეს.



– მძარცველი ბაბუა – ძიების ფედერალურმა ბიურომ ძებნაში უცნობი მამაკაცი გამოაცხადა, რომლის მეტსახელიც „მოხუცი ბანდიტი" იყო. პირველი ბანკი მან 2009 წლის აგვისტოში გაძარცვა, დღეს კი უკვე 11 ბანკის ფული აქვს მითვისებული. რაც ყველაზე საინტერესოა, „მოხუცი ბანდიტი" არასოდეს იყენებს იარაღს, თუმცა დღემდე დაუდგენელი მეთოდებით წარმატებას ყოველთვის აღწევს. რაც მთავარია, მისი დაპატიმრება პოლიციამ ჯერჯერობით ვერ შეძლო.

– მატარებლის ძარცვა შიშველი ხელებით – მასშტაბებისა და თავხედობის გათვალისწინებით, ამ შემთხვევას „მატარებლის დიდ ძარცვას" უწოდებენ. 1963 წლის 8 აგვისტოს ინგლისის საფოსტო მატარებლიდან 2 მილიონ ფუნტ სტერლინგზე მეტი მოიპარეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მატარებელი მძარცველებმა შუქნიშნის პროგრამის არევით შეძლეს, შემდეგ ფულით სავსე ვაგონი შემადგენლობას ჩახსნეს, მთელი თანხა ავტომობილში გადაიტანეს და მიიმალნენ.

შედეგად 15-კაციანმა კრიმინალურმა დაჯგუფებამ 2 მილიონ 300 ათასი ფუნტი სტერლინგი ჩაიგდეს ხელში, რაც დღევანდელი კურსით დაახლოებით 70 მილიონ აშშ დოლარს უდრის.

საინტერესოა, რომ ძარცვის პროცესში ერთი ტყვიაც კი არ გავარდნილა. მემანქანე თავდამსხმელებმა მუშტის ერთი დარტყმით დაამშვიდეს და საქმეს მშვიდად შეუდგნენ.

მოგვიანებით თხუთმეტივე მძარცველი პოლიციამ ნელ-ნელა დააპატიმრა. მათ შორის, რამდენიმე დღესაც ცოცხალია, თუმცა ციხეშია თუ თავისუფლებით ტკბება, ამის თქმა რთულია.

***mindhobby.com***

## ჰოლანდიელი მეცნიერი მწერებისგან მოსამზადებელი კერძების რეცეპტების წიგნს გამოსცემს



აბა, რაღა გვიჭირს აწი, თუკი ჩვენი ოჯახების დიასახლისებს სამზარეულოში მწერებისგან მოსამზადებელი კერძების რეცეპტების წიგნი ედებათ? პირდაპირ, ნერწყვები მოგვადგა და თავს ძლივს ვიკავებთ – ერთ გემრიელ მუხლუხოების წვნიანს შევხვრეპდით სიამოვნებით და დესერტად ტარაკნის მურაბასაც დავაჭყლეტდით...

როგორც ირკვევა, ჰოლანდიური ქალაქის, ვაგენინგენის უნივერსიტეტის პროფესორი არნოლდ ვან ჰეისი კულინარიული კრებულის გამოცემას აპირებს, რომელშიც სწორედ მწერებისგან დასამზადებელი კერძების რეცეპტები შევა.

არ იფიქროთ, რომ ჰოლანდიელი მეცნიერი ამით საკუთარი თავის პოპულარიზაციას ცდილობდეს. როგორ გეკადრებათ?! ის მიიჩნევს, რომ დროა, კაცობრიობა ტრადიციულიდან გაცილებით უსაფრთხო საკვებზე გადავიდეს, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ხოჭოებისგან, მატლებისგან და ჭიაღუებისგან მზადდება.

რეცეპტების წიგნის შედგენაში მეცნიერს ერთ-ერთი ჰოლანდიური რესტორნის შეფ-მზარეული დაეხმარება და ვნახოთ ერთი, რას მივიღებთ შედეგად.

ჰოლანდიელი მეცნიერის ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი მსოფლიოს ეკოლოგიური ფონდის მიერ გამოქვეყნებული დასკვნა გახდა, რომელშიც ნათქვამია, რომ კლიმატის გლობალური ცვლილებების გამო, 2020 წლისთვის დედამიწის მოსახლეობის ყოველი მეხუთე ადამიანი შიმშილის მსხვერპლი გახდება.

ნეტავ, რა მნიშვნელობა აქვს, შიმშილი მოგკლავს თუ გამხმარი ობობების ჩაი?!.

***rian.ru***

## ბრიტანულ სკოლებში ქალთა კონსულტაციებს გახსნიან



მოზარდებში ადრეული ფეხმძიმობის პრობლემა დიდ ბრიტანეთში იმდენად მძაფრი ყოფილა, რომ ქვეყნის ჯანდაცვისა და კლინიკური სრულყოფილების ეროვნული ინსტიტუტი საშუალო სკოლებში ქალთა კონსულტაციის კაბინეტების გახსნას მოითხოვს.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ევროპის მასშტაბით დიდი ბრიტანეთი ერთ-ერთ წამყვან ადგილზეა ადრეულ ასაკში ფეხმძიმობის მხრივ. მაგალითად, 2007 წელს ნისლიან ალბიონზე 18 წლამდე ასაკის 1000 გოგონადან 41 ორსულდებოდა, თუმცა დღევანდელი ვითარება კიდევ უფრო მძიმეა.

ინიციატივის ავტორების აზრით, თუკი ადრეულ ასაკში ფეხმძიმობის პრობლემის მოგვარება ვერ ხერხდება, ასეთ შემთხვევაში სხვა გზა აღარ არსებობს და აუცილებელია სკოლებში უფასო ქალთა კონსულტაციის კაბინეტების გახსნა, რათა გამოუცდელ მოზარდებს სპეციალისტებმა დროული და საჭირო დახმარება აღმოუჩინონ.

***medkarta.com***

## მზარეულმა ბუტერბროდში საკუთარი თმა გაურია



შურისძიებამდე თუ მივიდა ადამიანი, ისეთ საშინელებას მოიგონებს, ამბის გამგონეს თმები ყალყზე დაუდგება. სწორედ ასე მოგვივიდა ჩვენც, როცა 27 წლის რაიან ბიორკისა და ერთი პოლიციელის ამბავი გავიგეთ, რომელიც, ალბათ, ბუტერბროდს აღარასოდეს შეჭამს.

თურმე, პოლიციელს ახალგაზრდა მამაკაცი გარკვეული პერიოდის წინ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო დაუჯარიმებია. ბიორკს წყენა გულში ჩარჩა და როგორც კი შანსი მიეცა, სამართალდამცველს სამაგიერო გადაუხადა, თანაც უსაშინლესი გზით.

კერძოდ, რაიანი სწრაფი კვების ობიექტში მუშაობდა, სადაც ერთ დღესაც ზუსტად ის პოლიციელი შევიდა, რომელმაც ჯარიმა დაუწერა. მზარეულმაც, შური რომ ეძია, მის მიერ შეკვეთილ ბუტერბროდში მკერდიდან და სასქესო ორგანოებიდან მოცლილი თმები შეურია. პოლიციელმა „სიურპრიზი" მხოლოდ შუა ჭამაშიღა შენიშნა.

ცოტა არ იყოს, უცნაურია, რადგან ამერიკულმა სასამართლომ 27 წლის რაიან ბიორკი ციხეში მხოლოდ 15 დღით გაამწესა და 2-წლიანი პირობითი მიუსაჯა, მაგრამ ერთი კია, მას სწრაფი კვების ობიექტებში მუშაობის უფლება მთელი სიცოცხლე აღარ ექნება.

***cnews.canoe.ca***

*მიხეილ სახვაძე 599 93-28-03*



1. მისი დედაქალაქია ასტანა
2. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
3. ბოსტნის მავნებელი
4. ჰუნების ბელადი
5. ბევრ ზეთში შემწვარი კარტოფილი
6. უმაღლესი სასწავლო დაწესებ.
7. ქართველების დასახლება ირანში
8. სინდიოფალა
9. მწვანე ფერის მინერალი
10. ბოსტნეული
11. ბიბლიური მოსეს ძმა
12. „ამბავი ... კოტორაშვილისა“
13. მეჩეთი ...-სოფია
14. ქართ. საესტრადო ანსამბლი
15. მხარე საქართველოში
16. ყვავის ბარტყი
17. პროვინცია ესპანეთში
18. რომეოსა და ჯულიეტას ქალაქი
19. მსახიობი ... ნოლტი
20. გამხდარი ადამიანი
21. ... უდუმაშვილი
22. საგალობელი ...-მარია
23. მდინარე თერგის ხეობა
24. მსახიობი ... ჟირარდო
25. ქალაქი შორეულ აღმოსავლეთში
26. მომღერალი ... პიეხა
27. მთიდან წამოსული თოვლი
28. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში
29. თიხის ჭურჭელი სითხისთვის
30. ქვეყნის მთავარი ქალაქი
31. სილამაზის ქალღმერთი
32. ჟან რენო ფილმში
33. მწერალი ლუიჯი ...
34. თამაშში: არჩევანი და ...
35. ტალახი
36. შარდის ბუშტის ანთება
37. ტყის ფრინველი
38. იტალიელი რეჟისორი ძმები
39. სალექი რეზინი
40. სამკაციანი ანსამბლი
41. ხიდზე გაყვანილი გზა
42. შხამი, ამზადებენ ინდიელები
43. ოდრი ტოტუ ფილმში
44. პირველი სამნიშნა რიცხვი
45. ჩეხური ფირმის გამათბობელი
46. მხ/ფ „ჩვენი ...“
47. „წითელი“ პლანეტა
48. მინერალური საიუველირო ქვა
49. მეფის მხლებლები
50. ბზრიალა
51. მსახიობი ... რივზი
52. მიწის ფართობის ერთეული
53. სამზარეულოს ჭურჭელი
54. მსახიობი ... კასტრო
55. ბარდი ... ოკუჯავა
56. მდინარე პარიზში
57. კათოლიკე მღვდელი
58. ჩანჩქერი აშშ-ში
59. ციხე-სიმაგრე თბილისში
60. პოეტური ხერხი, ლექსის ტაეპში თანხმოვნის გამეორება
61. „შავყურა თეთრი ...“
62. „12სკამი“ ... ბენდერი
63. ყვავილი
64. შავი ფისი
65. გიტარის მავთული
66. კრივის გასამართი მოედანი
67. ოთხკუთხედში გავლებული ხაზი
68. ქონების შესყიდვის ფორმა
69. მსახიობი ... დერეკი
70. სიგრძის ძვ.ქართ. ერთეული
71. თიხის ჭურჭელი ყვავილისათვის
72. პიგმალიონის სატრფო
73. რკინის ნივთები
74. სახის ნაწილი
75. მხ/ფ „... მატარებელი“
76. ბანქოს ნახატი, „სალდათი“
77. კაციჭამია
78. ესპანელი მხატვარი
79. ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო
80. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
81. გიტარისტი ... დე ლუსია
82. იუმორისტი ... ჯავახიშვილი
83. უკრაინული ავტომობილი
84. ჩეხეთის დედაქალაქი
85. ხერხი სჯობია ...
86. მოწონების შეძახილი თეატრში
87. „მაუგლი“ მგელი
88. მხატვარი დიეგო ...
89. კვერცხის თეთრი შიგთავსი
90. მექსიკური არაყი
91. სინთეზური ქსოვილი
92. მაღაზიის მომხმარებლები, ანუ ...
93. დაბა სვანეთში
94. ვაშლის ღვინო
95. მომღერალი სელინ ...
96. მისი დედაქალაქია ათენი
97. მსახ. რობერტ ...-უმცროსი
98. ბოსტნის „დაცვა“
99. ძაღლის ჯიში
100. საერთო ევროპული ვალუტა
101. ძვ. ქართ. სამედიც. ენციკლოპ.
102. სამიანი ნარდში
103. იმრე კალმანის ჟანრი
104. მსახიობი ... იოჰანსონი
105. მარგალიტის წარმომქმნელი ფენა
106. საჭმელად ვარგისი სოკო
107. მსახიობი რასელ ...
108. ქალაქი იტალიაში
109. დამფინანსებელი, ანუ ...
110. ციტრუსი
111. ერთგვარი ბორანი
112. ბოჭკოვანი მცენარე
113. მონღოლი დიდებული
114. ლატვიური ფულის ერთეული
115. მტაცებელი ფრინველი
116. სასწორის ჯამი
117. მეტყველების ორგანო
118. ავტ. რესპუბლიკა საქართ.
119. თევზის წვნიანი
120. დაღესტნური სოფელი
121. მსახიობი ... ბროსნანი
122. სალებავი: ჟანგმიწა
123. გველი: მავი ...
124. „... გრძელი წინდა“
125. მსახიობი ... პიშარი
126. ნავთობმზიდი გემი
127. ტიბეტური ხარი
128. მხარე საქართველოში
129. მდინარე რუსეთში
130. მსახიობი დაიან ...
131. საქმეში ჩადებული წილი
132. მზის ღმერთი ეგვიპტეში
133. რუსი ილუზიონისტი
134. ვაზის საყრდენი ჯოხი
135. კუნძული ინდონეზიაში
136. გაზაფხულის თვე
137. „... ჭკუისაგან“



პასუხები: 1. ყაზახეთი; 2. სარაბანდა; 3. მახრა; 4. ატილა; 5. ფრი; 6. უნივერსიტეტი; 7. ფერეიდანი; 8. თრითინა; 9. ზურმუხტი; 10. მჟაუნა; 11. აარონი; 12. ივანე; 13. აია; 14. „ივერია“; 15. სვანეთი; 16. ბახალა; 17. ანდალუსია; 18. ვერონა; 19. ნიკ; 20. კაფანდარა; 21. ზაალ; 22. ავე; 23. დარიალი; 24. ანი; 25. ვლადივოსტოკი; 26. ედიტა; 27. ზვავი; 28. ლუქსემბურგი; 29. დოქი; 30. დედაქალაქი; 31. აფროდიტე; 32. „ლეონი“; 33. პირანდელო; 34. არადანი; 35. ლაფი; 36. ცისტიტი; 37. ყვავი; 38. ტავიანები; 39. „დიროლი“; 40. ტრიო; 41. ესტაკადა; 42. კურარე; 43. „ამელი“; 44. ასი; 45. „კარმა“; 46. ეზო; 47. მარსი; 48. სარდიონი; 49. ამალა; 50. ჩიკორი; 51. კიანუ; 52. აკრი; 53. ტაფა; 54. ვერონიკა; 55. ბულატ; 56. სენა; 57. აბატი; 58. ნიაგარა; 59. ნარიყალა; 60. ალიტერაცია; 61. ბიმი; 62. ოსტაპ; 63. ია; 64. კუპრი; 65. სიმი; 66. რინგი; 67. დიაგონალი; 68. გირაო; 69. ბო; 70. ადლი; 71. ქოთანი; 72. გალატეა; 73. რკინაკავეული; 74. ყბა; 75. ლტოლვილი; 76. ვალეტი; 77. ოგრი; 78. გოია; 79. „ოსკარი“; 80. სან; 81. პაკო; 82. ვანო; 83. „ტავრია“; 84. პრაღა; 85. ღონესა; 86. ბის; 87. აკელა; 88. ველასკესი; 89. ცილა; 90. ტეკილა; 91. ლავსანი; 92. კლიენტურა; 93. მესტია; 94. სიდრი; 95. დიონი; 96. საბერძნეთი; 98. საფრთხობელა; 99. როტვეილერი; 100. ევრო; 101. კარაბადინი; 102. სე; 103. ოპერეტა; 104. სკარლეტ; 105. სადაფი; 106. მიქლიო; 107. კროუ; 108. ნეაპოლი; 109. სპონსორი; 110. ლიმონი; 111. როროო; 112. სელი; 113. ნოინი; 114. ლატი; 115. ორბი; 116. პინა; 117. ენა; 118. აჭარა; 119. უხა; 120. აული; 121. პირს; 122. ოხრა; 123. მამბა; 124. პეპი; 125. პიერ; 126. ტანკერი; 127. იაკი; 128. რაჭა; 129. ოკა; 130. ლეინი; 131. პაი; 132. რა; 133. კიო; 134. ჭიგო; 135. იავა; 136. მარტი; 137. ვაი. იკითხება: აბაჟური. საათი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ჭარბი წონის პრობლემას კუჭის იმპლანტანტით მოაგვარებენ



ფაქტია, სიმსუქნე იმდენად დიდი პრობლემაა, რომ მის დასამარცხებლად მეცნიერებმა მთლად უკანასკნელს თუ არა, ერთ-ერთ ბოლო ხერხს მიმართეს, რომელიც მსუბუქ ქირურგიულ ჩარევას გულისხმობს.

გერმანიაში ჩაატარეს კვლევა, რომლის დახმარებითაც მოწყობილობა, სახელწოდებით „ებილითი“, ადამიანის მადა დაახლოებით 45 პროცენტით შესუსტდება, რასაც, წესით და კანონით, წონის დაკლება თუ არა, მატება მაინც აღარ უნდა მოჰყვეს.



იმპლანტანტის საფუძვლად იგივე პრინციპია გამოყენებული, როგორიც კარდიოსტიმულატორის შემთხვევაში გვხვდება.

მაინც დავაზუსტებთ: საკვების მიღების დროს, კუჭში მოთავსებული სენსორი რეაგირებას იწყებს და სტიმულატორს სიგნალებს უგზავნის. თავად სტიმულატორი ნეკნების ქვემოთ, კანქვეშ მაგრდება. სიგნალების მიღების შემდეგ ის კუჭისა და თავის ტვინის იმ ნაწილის სტიმულირებას იწყებს, რომელიც შიმშილის გრძნობაზეა პასუხისმგებელი. მადაც ნელ-ნელა იკლებს.

წონის შემცირების შემდეგ „ებილითის“ გათიშვა ძალიან მარტივი პროცედურაა.

იმპლანტანტი დაახლოებით 17 ათასი აშშ დოლარი ჯდება.

***best-stroitelstvo.ru***

## კომბოსტო კუჭის წყლულს 2-ჯერ სწრაფად უშველის



ამერიკელი გასტროენტეროლოგები შეეცადნენ, პაციენტები რაც შეიძლება სწრაფი გამოჯანმრთელებით დაეჯილდოებინათ და როგორც თავად ამტკიცებენ, შესანიშნავი შედეგიც მიიღეს. კერძოდ, ისინი დარწმუნებულები არიან, რომ საუკეთესო არჩევანი კომბოსტოა.

– რაციონში კომბოსტოს ჩართვა კუჭის წყლულის მქონე ადამიანების გამოჯანმრთელების პროცესს 2-ჯერ უფრო სწრაფად წაიყვანს, ვიდრე მედიკამენტები, – ამბობენ ამერიკელი სპეციალისტები.

ის, რომ კომბოსტოს კუჭის წყლულის მქონე ადამიანებისთვის შვების მოგვრა მართლა შეუძლია, 400-მდე პაციენტისთვის ჩატარებულმა ექსპერიმენტმაც ცხადყო – თითქმის 80 პროცენტის გამოჯანმრთელების პროცესი გაცილებით სწრაფად დასრულდა.

***health.passion.ru***

## სიგარეტის კვამლი ბავშვის ორგანიზმს თავდაცვითი ფუნქციების გარეშე ტოვებს



რით აღარ აშინებენ სპეციალისტები და როგორ რეკომენდაციებს აღარ აძლევენ ისინი მწეველებს, მაგრამ „შეაყარე კედელს ცერცვი“...

სიგარეტის კვამლი, რომელსაც ბავშვი მწეველი მშობლის გამო სუნთქავს, მათში ანტიოქსიდანტების დონის შემცირებას იწვევს, არადა, მათი მთავარი ფუნქცია პატარების ორგანიზმის დაცვაა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუშაობისას, ბრიტანელმა მეცნიერებმა ორი ათასამდე ბავშვის მდგომარეობა შეისწავლეს. მათ შორის, ერთი ნაწილის მშობლები მწეველები იყვნენ, დანარჩენებს კი სიგარეტთან ისეთი აქტიური შეხება არ ჰქონდათ.

დადგინდა, რომ ორივე შემთხვევაში, ბავშვების მდგომარეობა საგანგაშო იყო, თუმცა განსაკუთრებული რისკის ქვეშ მაინც პირველი ჯგუფის ბავშვები მოხვდნენ.

– სადაც არ უნდა გავიხედოთ, ყველგან ეწევიან და დაცული ბავშვი არსად არის, თუნდაც სიგარეტს მის სახლში არ ეწეოდნენ, – განმარტავენ ბრიტანელი მეცნიერები და იმასაც ამბობენ, რომ, თუკი პატარების იმუნიტეტი დაავადებებს ვერ უმკლავდება, ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი სწორედ სიგარეტის კვამლია.

***liveinternet.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**3 ივნისი:** ურიგო არ იქნება, თუ ხელს მოჰკიდებთ საქმეს, რომელიც წინა კვირაში ჩაიფიქრეთ, წესით, უნდა გამოგივიდეთ.

**კურო 22.04-21.05**
**3 ივნისი:** ეს დღე მეგობრებთან ერთად გაატარეთ. ისინი ისეთ კეთილგანწყობილნი იქნებიან, როგორც არასდროს, და დაკარგული დრო სანანებელი არ გაგიხდებათ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**3 ივნისი:** დღეს თქვენთვის მნიშვნელოვანი იქნება თქვენი ოჯახის წევრების მიზნების ამოცნობა. ურთიერთგაგება აახლოებს, ეს კი ისაა, რაც ამ მომენტში გჭირდებათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**3 ივნისი:** მისდაუნებურად, ვიღაცა ცხოვრებას გირთულებთ. არ უთხრათ, ეწყინება და შეგნებულად დაგიპირისპირდებათ. უმჯობესია, ზრდილობიანად აგრძნობინოთ, რომ თავისი საქმით დაკავდეს.

**ლომი 23.07-22.08**
**3 ივნისი:** ცხადია, სანამ რაღაცას არ გასინჯავთ, მის რაობას ვერ გაიგებთ. სწორედ ეს უნდა იქცეს დღეს თქვენს დევიზად.

**ქალწული 23.08-22.09**
**3 ივნისი:** დღეს ჯიუტი ადამიანების გადარწმუნების რეალური შანსი მოგეცემათ. ფრთხილად იყავით, საკუთარი თავიც არ დაარწმუნოთ რაიმე სისულელის ჩადენის აუცილებლობაში.

**სასწორი 23.09-22.10**
**3 ივნისი:** შეიძლება რთული დღე აღმოჩნდეს. დახმარებას, სიტუაციიდან გამომდინარე, მეგობრების ან ოჯახის წევრებისგან მიიღებთ. ნაკლებად ნაცნობ ადამიანებთან ურთიერთობას ერიდეთ, შეიძლება მათ დღეს თქვენზე არასწორი წარმოდგენა შეექმნათ.

**მორიელი 23.10-21.11**
**3 ივნისი:** თქვენთვისაც უცნობი მიზეზების გამო, დღეს ფინანსურ საკითხებს იოლად მოაგვარებთ. საკუთარ გამონათქვამებს თუ არ გააკონტროლებთ, შეიძლება დიდ უსიამოვნებაში გაეხვიოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**3 ივნისი:** ჩამოხსენით ფარდა, რომელიც თქვენს სულიერ სამყაროს გარშემომყოფებისგან აშორებს. ეს საშუალებას მოგცემთ სხვებს გაუგოთ და თქვენც გაგიგონ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**3 ივნისი:** დღეს სერიოზული გავლენის მოხდენას შეძლებთ ადამიანებზე, რომლებსაც საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება ავალიათ. ეცადეთ, ეს მომენტი ბოროტად არ გამოიყენოთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**3 ივნისი:** შეიძლება დღეს მოჭარბებული მადა გქონდეთ. თუ მასთან გამკლავება გაგიჭირდათ, იმდენი მაინც მოახერხეთ, რომ ჯანმრთელობას არ ავნოთ.

**თევზები 19.02-20.03**
**3 ივნისი:** დღეს, სურვილის მიუხედავად, ჭუჭყიანი სამუშაოს გაკეთება მოგიწევთ, თანაც საკმაოდ აქტიურად. ამას ვერსად გაექცევით. უმჯობესია, იმაზე იფიქროთ, მალე როგორ მოამთავროთ.

გაზეთი ალია
**სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს**
**ანაზღაურება 640 ლარიდან**
გამოცდილ ჟურნალისტს საინფორმაციო სააგენტოებზე მუშაობის პრაქტიკით – საინფორმაციო სამსახურის რედაქტორად.
ტელ: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან

**„ალია“ მიიღებს და დაინტერესების შემთხვევაში გამოაქვეყნებს საავტორო სტატიებს შესაბამისი ანაზღაურებით.**
**სტატია გამოგზავნეთ ელფოსტაზე: alia@alia.ge**

## სამუშაო ადგილიდან რაც შეიძლება, ბევრჯერ უნდა ადგეთ



რამდენად სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის მჯდომარე სამუშაო, ამ თემაზე ჩვენც ბევრი მოგვიყოლია და თავადაც საკმარისი ინფორმაცია გექნებათ. ამდენად, ძველს აღარ გავიმეორებთ და ახალზე მოგახსენებთ.

ავსტრალიელი მედიკოსების ინფორმაციით, მჯდომარე სამუშაოს საშინელი ეფექტისგან თავის დაღწევა ძალიან ადვილად შეიძლება. კერძოდ, ამისთვის საკმარისია, სკამიდან რაც შეიძლება, ხშირად ადგეთ.

უფრო რომ დავაზუსტოთ: საათის მანძილზე 2-3 წუთით ერთხელ მაინც თუ ადგებით, ამით ძალიან დიდ უსიამოვნებას აიცილებთ თავიდან.

– ბევრმა კვლევამ აჩვენა, რომ მჯდომარე სამუშაოს სასიკვდილო შედეგის მოტანაც კი შეუძლია. ამდენად, აუცილებელია, ადამიანებმა სპეციალისტების რჩევები გაითვალისწინონ, – ასეთია ავსტრალიელი მედიკოსების რეკომენდაცია.

მათივე თქმით, მჯდომარე სამუშაოს პატრონებს, ყველაზე მინიმუმ, ჭარბი წონა მაინც აწუხებთ. გარდა ამისა, ახალმა კვლევამ აჩვენა, რომ მათ სისხლში მომატებულია ქოლესტერინის დონე და ასევე, ანთებითი პროცესების ჩხირებიც.

მოკლედ, რჩევა ძალიან ადვილია: ზიხართ? ოპლა – ადექით, რა ცოტა ხნით.

***medkarta.com***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

ანეკდოტი



კლიენტმა ტექნიკის მაღაზიაში 10 ათას ლარამდე დახარჯა. ბოლოს სალაროსთან მივიდა, თანხა გადაიხადა, მოლარემ კი სტანდარტულად:

– დიდი მადლობა ჩვენი მაღაზიის არჩევისთვის.

კლიენტი აღშფოთდა:

– სულ ეს არის, მხოლოდ მადლობას მიხდით? მე ხომ იმდენი ფული დავხარჯე, უკანალზე უნდა მაკოცოთ!

– უკაცრავად, ბატონო, მაგრამ ჩვენს მაღაზიაში თვითმომსახურებაა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
» 211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან -ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ლუბლიანის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.50